ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

70-ე სკოლის მოსწავლეებს მინის კონსტრუქცია დაეცა. 14 წლის ასლან მამედოვი დაიღუპა გვ.7

სისხლიანი ტრაგედია ბარათაშვილის ქუჩაზე

1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ხუთშაბათი, 1 მარტი, 2018 | №50 (7595) | ფასი: 50 თეთრი

# რატომ დააკავა სუსმა „ოცნების“ მაჟორიტარი თემურ გორგაძე




გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „კორუმპირებული და დასაჭერი საკრებულოში კიდევ ბევრია“





## ცემა-ტყეპა ბორჯომის საკრებულოში

გვ.2

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი და მისი ხელისუფლება ტყვიით გვკლავს“

გვ.2



„დმანისის და ბოლნისის ნიადაგში ტყვიის შემცველობა ძალიან არის მომატებული“

გვ.4

## რამაზ საყვარელიძე: „იარაღით რუსეთისგან თავს ვერ დავიცავთ“



სამართალი





გვ.7

## „ოჯახს მხოლოდ ეს ორი შვილი ჰყავდა — სიჩქარის მაჩვენებელი 160 კმ/სთ-ზე იყო გაჭედილი“

საზარელი ავარია მოხისთან, რომელსაც ძმების და მათი მამიდაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა



## კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა ბაქრაძე თბილისის აეროპორტში დააკავეს

ეკონომიკა გვ.6

## თემურ ჭყონია: „დროა ბაზრობები და წარმოებები ქალაქგარეთ გადავიდეს“



VEZIRI TELECOMMUNICATION AND SECURITY SOLUTIONS

გახშირებულ სახანძრო სიტუაციებთან დაკავშირებით კომპანია „ვეზირი“ განცხადებას ავრცელებს



გვ.7

ზეგაანის ღ.ქ.-ის (ტატულაშვილების ოჯახი) საფერავმა-2016 წ. ოქროს მედალი დაიმსახურა, BLACK SEA REGION WINES& SPIRITSCONTES 2018 კიშინიოვში OIV-ის ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო დეგუსტაციაზე

ISSN 1987-9385

**8** ამერიკელი ექსპერტები: „მსოფლიო ახალ გეოპოლიტიკურ ფაზაში შევიდა“

**5** ჯემალ გამახარია: „ოკუპაციის კანონი ზოგ ადგილებში შერბილდება, ზოგან გამკაცრდება“

**4** მამუკა გამყრელიძე: „ქართული ოცნება“ ჩვეულებრივი ბაცაცების გაერთიანებაა“

**3** სოსო ცინცაძე: „ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ“

# „ივანიშვილი და მისი ხელისუფლება ტყვიით გვკლავს“





„დმანისის და ბოლნისის ნიადაგში ტყვიის შემცველობა ძალიან არის მომატებული“



## ლაშა ჩხარტიშვილი: „საყდრისის აფეთქება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტია“

შორენა მარსაგიშვილი

ქვემო ქართლში კატასტროფული ვითარებაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის მხარდაჭერითა და თსუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ნივთიერებათა კვლევის ინსტიტუტის მონაწილეობით 2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 2014 წელთან შედარებით ტყვიის რაოდენობა ნიადაგში საგანგაშოდაა მომატებული.

ტყვიით დაბინძურებულია საყდრისის საბადოსთან ახლოს მდებარე სოფლების სავარგულები.

– ტყვია ტოქსიკური და ჯანმრთელობისთვის საშიში ელემენტია. იგი უარყოფითად მოქმედებს ბავშვების ტვინის ფუნქციონირებაზე, იწვევს გონებრივ ჩამორჩენას, მეხსიერების დაქვეითებასა და სხვადასხვა ფსიქიკურ აშლილობას. ორგანიზმში დალექვის შემდეგ, ტყვია იქიდან ძალიან ძნელად განიდევნება, ამას საშუალოდ 10-დან 30 წელი ესაჭიროება, – ნათქვამია დასკვნაში.

ნიადაგის გარდა დაბინძურებულია მდინარეებიც. რაც არანაკლებ საფრთხის შემცველია. აი, რა წერია დასკვნაში:

– რეგიონში განვითარებულია მებოსტნეობა, წარმოებით დაბინძურებული მდინარეები მაშავერა და ფოლადაური კი სამელიორაციო სისტემაში გამოიყენება. ბოსტნეული დიდი რაოდენობით ითვისებს სიმსივნის მაპროვოცირებელ მძიმე მეტალებს – ტყვიასა და კადმიუმს. აღნიშნული პროდუქცია კი ბაზარზე ყოველგვარი კონტროლის გარეშე შედის. ეს პრობლემა უდიდეს საფრთხეს უქმნის როგორც ადგილობრივ, ასევე ქალაქების მოსახლეობას, რომელიც ამ ბოსტნეულით მარაგდება.

კვლევის შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა უფლებადამცველ და ეკოლოგ ლაშა ჩხარტიშვილისთვის. ის დიდი ხანია, რაც საუბრობს რეგიონში შექმნილ კატასტროფულ ვითარებაზე.

რატომ მიმდინარეობს სამუშაოები მოძველებული ტექნოლოგიებით, ვინ მდიდრდება ხალხის სიცოცხლის ხარჯზე, რატომ არის საყდრისის აფეთქება კაცობრიობის წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტი? – ამის შესახებ ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– კაზრეთი, ჭიათურა-ზესტაფონი, ტყიბული და კასპი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე არიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ათწლეულებია, რაც დგას, ხელისუფლება არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოსახლეობა მეტნაკლებად დაცული იყოს და არ იხოცებოდეს.

ხელისუფლება ჩემ მიერ ჩამოთვლილ რეგიონებში მომუშავე კომპანიებს არ სთხოვს, რომ მათ ახალი ტექნოლოგიებით იმუშაონ და თავი დაანებონ გასული საუკუნის მეთოდებს. ამ მეთოდებით მუშაობა კომპანიებს იაფი უჯდება, არც მათ და არც მათთან კავშირში მყოფ ხელისუფლებას არ აინტერესებს, ეს რა ზიანს აყენებს ან გარემოს, ან ადამიანებს. რეალურად ამ ყველაფრის უკან დგას ოლიგარქიული მაფია, რომელიც შეზრდილია ყველა ხელისუფლებასთან.

ჩემ მიერ ნახსენები რეგიონებიდან ყველგან მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ ყველაზე მძიმე ვითარება არის კაზრეთში. კაზრეთს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ უბედურების ზონა.

კაზრეთით ხელისუფლების წარმომადგენლებიც ბევრ ფულს შოულობდნენ. ჯერ იყო და შევარდნაძე-მამალაძე შოულობდნენ იქ ფულს, მერე – სააკაშვილი და პუტინთან დაახლოებული რუსი გენერლები. ახლა ამ ყველაფრის უკან დგას ბიძინა ივანიშვილი. რუსულ-ქართული ოლიგარქიული მაფია ერთი მხრივ გვძარცვავს, ხოლო მეორე მხრივ გვწამლავს.

დღეს ივანიშვილი არის ქვეყანაში მთავარი და მთელი ხელისუფლება მას ემორჩილება. მორჩილი ხელისუფლება მადნის მომპოვებელ კომპანიებს ყველაფერზე ხელს უწერს და ყველაფრის უფლებას აძლევს. მათ საყდრისის აფეთქების უფლებაც კი მისცეს. ეს, ჩემი აზრით, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტია.

***– კაცობრიობის წინააღმდეგ რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს საბადო მსოფლიოში ყველაზე ძველი ოქროს მომპოვებელი მაღაროა. მასთან ასეთი მოპყრობა როგორ შეიძლება. ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ, რომ ეს ძეგლი შენარჩუნებულიყო. ამათ კი ააფეთქეს, რითაც, როგორც უკვე გითხარით, კაცობრიობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი ჩაიდინეს.

ტერაქტზე არანაკლები დანაშაულია ის გარემო, რაც ამ რეგიონში შექმნეს. აქ ადამიანები ოქროზე ცხოვრობენ და მათ კაპიკებზე ამუშავებენ. აღარაფერს ვამბობ დაბინძურებულ გარემოზე, სადაც ამ ხალხს უწევს ცხოვრება.

აქ ელემენტარულადაც კი არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები. არაა დაცული ციანიდის მოსხურების მოედნები. არაფერს აკეთებენ, რომ ჰაერში არ გავრცელდეს ნატრიუმის ციანიდი, რომელიც მომწამვლელი ნივთიერებაა.

***– ამ ციანიდის გამო არ დაიჭირეს მამა გიორგი მამალაძე?***

– მამა გიორგისთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ კალიუმის ციანიდი იყო. თავიდან ნატრიუმის ციანიდზეც საუბრობდნენ. ეს ძალიან უცნაური ისტორიაა. დღემდე ვერ დაადგინეს, ჰქონდა თუ არა მას საერთოდ ციანიდი. ვერც იმას ამტკიცებენ, რომ მამა გიორგი ვიღაცის მოკვლას აპირებდა. გვითხრეს, რომ ის ვიღაც პატრიარქის მდივან-რეფერანტი იყო. ჩვენ დღემდე არც ის ვიცით, რატომ მონათლა ის პრემიერმა უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირად.

ნატრიუმის ციანიდს ჰაერში ასხურებენ, მადნის ზემოთ. ის ქარის მიერ საკმაოდ დიდ მანძილზე ვრცელდება და ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია.

აქ ნიადაგი და წყალი სხვა მძიმე ლითონებითაც არის დაბინძურებული. ლამის მენდელეევის მთელი ტაბულაა აქ. ეს მავნე მინარევები, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საშიშია, მდინარეებში ჩაედინება.

***– ეს მდინარეები მინდვრების მოსარწყავად გამოიყენება.***

– რა თქმა უნდა, ამ მდინარეებით ირწყვება მინდვრები, სადაც მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული. ამ დაბინძურებულ პროდუქციას ჭამენ როგორც ადგილობრივები, ასევე სხვა რეგიონებში მცხოვრებლებიც. აქ მოწეული პროდუქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით იყიდება.

ადგილებში, სადაც ხდება მადნის მოპოვება, შეგნებულად არ ტარდება მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევები. ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციები გვეხმარებიან იმაში, რომ ჩვენს თავზე რაღაცა გავიგოთ, არადა, ეს სახელმწიფოს საქმეა. ჩვენ ამის ცოდნის უფლება კონსტიტუციით გვაქვს. ხელისუფლება ამის უფლებასაც კი გვართმევს.

მართალია, კვლევების ჩატარებისგან თავს იკავებენ, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ რეგიონებში კატასტროფულად არის გაზრდილი როგორც სიმსივნური დაავადებები, ასევე სხვა პათოლოგიები.

ეს დაავადებები სხვა რეგიონებსაც ემუქრება – როგორც უკვე გითხარით, აქ მოწეული პროდუქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით იყიდება. ეკოლოგიის თვალსაზრისით, არც ამ რეგიონებშია კარგი მდგომარეობა.

***– თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება კომპანიებს არაფერს სთხოვს იმისთვის, რომ მათ ახალი ტექნოლოგიებით იმუშაონ და გარემო ასე არ დააბინძურონ. საზოგადოებას არ შეუძლია, რომ ეს კომპანიები აიძულოს?***

– საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გამოხატოს პროტესტი. რამდენად გამოიღებს ეს შედეგს, ვერ გეტყვით. ხელისუფლებას ჯერჯერობით ყველაფერი გასდის. კაზრეთში და ამ რეგიონში მოსახლეობა საკმაოდ მძიმე დღეშია. მოგეხსენებათ, სამუშაოები ჭირს და ისინი მადნის მომპოვებელ კომპანიაში მუშაობენ.

მათ ხმის ამოღების უფლება არ აქვთ. როგორც კი რამეს გააპროტესტებენ, სამსახურიდან გაუშვებენ, ეს ადამიანები ასეთი არჩევანის წინაშე დგანან – ან შიმშილით უნდა მოკვდნენ, ან მძიმე სამუშაო პირობებს და გარემოს შეეწირონ. არჩევანს მეორის სასარგებლოდ აკეთებენ.

საზოგადოების პროტესტს მაშინ ექნება შედეგი თუ მთელი ქვეყანა ერთად დავდგებით. პროტესტი აუცილებლად უნდა გამოვხატოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი ტყვიით დავიხოცებით. ეს ტყვია იმ ტყვიასავით უცბად არ კლავს, მაგრამ შედეგი აქაც მძიმეა.

***– ხელისუფლება არაფერს აკეთებსო ამბობთ, ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხომ სუნთქავენ ამ ჰაერს, სვამენ ამ წყალს და ჭამენ ამ ბოსტნეულს. მათ რაიმე იმუნიტეტი იცავთ თუ რატომ არ ადარდებთ ეს?***

– დაავადებისგან არც ისინი არიან დაზღვეულები, მაგრამ მათთვის ახლა მთავარია ფული. ჰგონიათ, რომ ფული ყველაფრისგან დაიცავს. ამ ფულით ძვირადღირებული მკურნალობის კურსის ჩატარება შეუძლიათ, მაგრამ ეს ხშირად საკმარისი არ არის.

# ცემა-ტყეპა ბორჯომის საკრებულოში

შორენა მარსაგიშვილი




ბორჯომის საკრებულოში ზამთრის ბოლო დღე ძალიან მძიმე გამოდგა. ხელფასების გამო „ქართული ოცნების“ და ოპოზიციის დეპუტატებმა ერთმანეთი დაიწიხლქვეშეს. ჩხუბში აქტიურად მონაწილეობდნენ ბორჯომის მერიის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ბორჯომის საკრებულო გუშინ, 28 თებერვალს, პირველად შეიკრიბა. არაერთი მცდელობის შემდეგ კვორუმი შედგა, თუმცა საკრებულომ ვერც გუშინ ვერ მოახერხა ბორჯომის მერიის საშტატო ნუსხისა და გაზრდილი ხელფასების დამტკიცება. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის 125 თანამშრომელს წელს ხელფასი საერთოდ არ აუღია.

საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს მყისიერად გამოეხმაურა ოპოზიცია. ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ადგილზე ჩავიდა. მის გამოჩენას მეოცნებეები წივილ-კივილით შეხვდნენ.

– გაეთრიე ამ ქალაქიდან! მკვლელო! ცოცხი მოიტანეთ, – ბოლო ხმაზე კიოდნენ მეოცნებე ქალები.

მეოცნებე კაცები მუშტებით იწევდნენ, მაგრამ მელიას მხარდამჭერები კარგად იცავდნენ. თავის მხრივ ის იმ შენობაში შეჭრას ცდილობდა, სადაც, მისი თქმით, „ოცნებას“ ოპოზიციონერი დეპუტატები ჰყავდა დატყვევებული.

ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ გედევან ფოფხაძე ბორჯომის საკრებულოს ხელახალი არჩევნები ჩატარების მომხრეა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ“

## „კონფლიქტების მოსაგვარებლად არაოფიციალური კონტაქტებიცაა საჭირო“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, პოლიტიკური თვალსაზრისით გაზაფხული ყოველთვის რთულია საქართველოში. ფიქრობთ, პოლიტიკური პროცესები უფრო აქტიური გახდება?***

– სწორი შენიშვნაა, გაზაფხული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. წლევანდელი გაზაფხული წინასაარჩევნო კამპანიით იქნება მნიშვნელოვანი. ახლა ყველა და ყველაფერი მოლოდინის რეჟიმშია, თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი. აგერ უკვე ჭორი გავარდა, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი ივანიშვილი იქნება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მე არ მჯერა, ვნახოთ.

გაზაფხულზე ოპოზიცია ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო და გვახსოვს ჩვენ არაერთი გამოსაფხიზლებელი ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები. მართალია, აქციები აზარალებს ხშირ შემთხვევაში ქვეყანას, მაგრამ მას ხშირად ცივი შხაპის ეფექტი აქვს და ხშირად არის მიძინებული, მოდუნებული ხელისუფლებისთვის გამოსაფხიზლებელი. ლაზათიანი სილის შემოლაწუნების ფასი აქვს ხოლმე, მაგრამ ამ გაზაფხულზე მსგავსი არაფერი იქნება.

***– რატომ, ოპოზიციას არ შეუძლია ხალხის ქუჩაში გამოყვანა თუ ხალხი ჯერ კიდევ დროს აძლევს ხელისუფლებას?***

– პირველი, ოპოზიციას არაფრის თავი არ აქვს, ფართომასშტაბიან მიტინგებს ოპოზიცია ვერ მოაწყობს. ხელისუფლება ანგარიშს მათ არ უწევს. დღეს ერთადერთი, ვისაც მთავრობა ვერ იტანს და ყელში ჰყავს გაჩხერილი, პრეზიდენტი მარგველაშვილია. თუმცა, მარგველაშვილს ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული და ჩვენ არ ვიცით, ის რას იზამს, იქნება თუ არა პოლიტიკურად აქტიური.

მეორე მიზეზი: ადამიანებს ხელი აქვთ ჩაქნეული. დროს კი არ აძლევენ, პირიქით, რაც გინდათ, ის გიქნიათ – ეს პოზიცია აქვს ამომრჩეველს, რაც ძალიან ცუდია. ასეთ დამოკიდებულებას რაც მოჰყვება ხოლმე, ჩვენ კარგად ვიცით. დაგროვილის ამოხეთქვა ცუდ შედეგებს მოიტანს, ეს უნდა გააცნობიეროს ხელისუფლებამ, მაგრამ რას გააცნობიერებს, როდესაც ისეთ სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს, რომ ელემენტარული სოლიდურობის განცდა არ აქვთ.

***– რას გულისხმობთ?***

– კვირიკაშვილმა თქვა, საზოგადოებას, მეც მათ შორის, კითხვები გვაქვს მოლაშვილის საქმის მოსამართლისა და სხვათა უვადოდ გამწესებაზეო და ამას პარლამენტართა ისეთი ერთხმად შეძახილი მოჰყვა, ჩვენცო, გეგონებოდათ, აქამდე პირი ამოკერილი ჰქონდათ.

ეს უკვე სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თუნდაც ამ განცხადებითაც დაადასტურა კვირიკაშვილმა, რომ ის ვერ გახდა ლიდერი, რომ ის თითქოს დინებას მიჰყვება. თვითონ კი არ კარნახობს დროს, არამედ დრო კარნახობს მას. ეს მმართველისთვის, ლიდერისთვის სრულიად შეუფერებელი და მიუღებელი პოზიციაა. ასე ქვეყანა შორს ვერ წავა. ვერც მთავრობა და ვერც პარლამენტი ქვეყანაში დღეს პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნის. როგორ შეიძლება ასეთი დეპუტატები პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ, რომლებსაც საკუთარი პოზიცია არ გააჩნიათ.

***– ბატონო სოსო, ტატუნაშვილის გადმოსვენების შესახებაც მინდა გკითხოთ, პაატა ზაქარეიშვილმა თქვა, დროში გაიჭიმებაო, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– ჩემთვის სრულიად გაუგებარია, აღმაშფოთებელიც კი არის, რომ შერიგების მინისტრს როგორ არ აქვს არაფორმალური კონტაქტები თუნდაც ოსებთან.

***– უნდა ჰქონდეს?***

– რასაკვირველია, ეს არის დიპლომატიის ანბანი. რამდენი წელი ჯერ მოადგილე იყო, ახლა მინისტრია, ამდენი ხნის მანძილზე მაინც უნდა მოეხერხებინა და არაოფიციალური კონტაქტები დაემყარებინა.

დიპლომატიაში არსებობს ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები, ძნელი სათქმელია, რომელი უფრო მნიშვნელოვანია. 1972 წელს ამერიკამ ჩინეთი საბჭოთა კავშირის თავდასხმას გადაარჩინა, მაგრამ ამას ვერ წაიკითხავთ ვერც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში. თუმცა, ეს ფაქტი მოხდა და ეს მიღწეულ იქნა სწორედ არაფორმალური, არაოფიციალური მოლაპარაკებებით.

გასაგებია, რომ ოსებს და აფხაზებს არავინ არაფერს ეკითხება და ყველაფერს მოსკოვი წყვეტს, მაგრამ რატომ უარყვეს ეს არაოფიციალური ურთიერთობები, არ მესმის. როგორც კი დააპატიმრეს ჩვენი მოქალაქეები, მათ შორის ტატუნაშვილი, მაშინვე არაოფიციალური კონტაქტები უნდა ამოქმედებულიყო. ახლა მოსკოვი ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ ამერიკელები ვერ გვიშველიან.

***– სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადება გააკეთა.***

– დიახ, გააკეთა და მორჩა, რუსები ყურს არ გააბარტყუნებენ. თქვენ ფიქრობთ, ვინმე რუსებს ამის გამო სანქციებს დაუმატებს ან კიდევ უფრო სერიოზულ სახეს მისცემს?! ამიტომ ვამბობ, რომ მყარი არაოფიციალური არხები უნდა არსებობდეს სწორედ მსგავსი გამოუვალი სიტუაციების დროს ასამოქმედებლად. მაშინ რაში გვჭირდება ეს სამინისტრო, სრულიად გაუგებარია! რომელი



შემრიგებელია ეს მინისტრი, რომელიც დარეკვას ვერ ბედავს და თუ დარეკა, რატომ არ აყენებს საქმის კურსში საზოგადოებას?!

***– კონსტიტუციონალისტი ბოძაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ საერთაშორისო დონეზე „სამხრეთ ოსეთი“ ხმარებიდან ამოვიღოთ.***

– რასაკვირველია, ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო. ამ ტერიტორიის ძირძველი სახელწოდება „სამაჩაბლოა“. „სამხრეთ ოსეთი“ კომუნისტების მიერ შემოღებული ტერმინია. როგორც კი შენ იტყვი „სამხრეთ ოსეთს“ და რადგან არსებობს „ჩრდილოეთ ოსეთი“, პერმანენტურად გაერთიანების საკითხი დგება. არსებობს ჩრდილოეთ კორეა და სამხრეთ კორეა, ერთი ხალხი უნდა გაერთიანდეს, როგორც ორი გერმანია გაერთიანდა თავის დროზე.

ამ საკითხზე სერიოზული დისკუსია უნდა დაიწყოს საერთაშორისო დონეზე და ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ დავაბრუნოთ ტერმინი „სამაჩაბლო“.

# რატომ დააკავა სუსმა „ოცნების“ მაჟორიტარი თემურ გორგაძე

შორენა მარსაგიშვილი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საკრებულოს კრწანისის მაჟორიტარი დააკავა. დეპუტატ თემურ გორგაძის დაკავებასთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ასეთი განცხადება გაავრცელა:

– ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი, კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ გორგაძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თემურ გორგაძემ საქართველოს მოქალაქეს, მისი ნათესავის შეწყალების კომისიის მეშვეობით პატიმრობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა 7.000 ამერიკული დოლარი.

2018 წლის 28 თებერვალს თემურ გორგაძემ ხსენებულ მოქალაქეს წინასწარ გამოართვა მოთხოვნილი თანხის ნახევარი – 3.500 ამერიკული დოლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

სუსის ცნობითვე, გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით), რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7 დან 11 წლამდე ვადით.

საკრებულოს წევრის დაკავებასთან დაკავშირებით, საგანგებო ბრიფინგი გამართა საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძემ. მან საზოგადოებას მრისხანე სახით აუწყა, რომ „ქართული ოცნება“ კორუფციას და მექრთამეობას არ შეეგუება და ყველა დამნაშავე კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება.

– ჩვენ ვიცავთ უდანაშაულობის პრეზუმპციას და სასამართლოს გადაწყვეტილებამდე



არაფერს ვამტკიცებთ, თუმცა ეს არის თავისთავად ცუდი ფაქტი და არ შევეგუებით დანაშაულს არავის მხრიდან, იქნება ეს ჩვენი კოლეგა თანაგუნდელი თუ ნებისმიერი მოქალაქე. უფრო მკაცრი იქნება მიდგომები იმ თანაგუნდელების მიმართ, ვინც არაკეთილსინდისიერი ქმედებებით ჩრდილს მიაყენებს ჩვენს საქმიანობას. დღევანდელი ფაქტი კიდევ ერთი დასტურია, რომ საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა და ყველა ადამიანი, რომელიც კანონს დაარღვევს, უმკაცრესად აგებს პასუხს, სტატუსისა და პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, – განაცხადა ტყემალაძემ.

დედაქალაქის საკრებულოში რომ კორუმპირებულები სხედან, ამის შესახებ არაერთი განცხადება აქვს გაკეთებული ლევან ხაბეიშვილს. ოპოზიციონერ დეპუტატს ამ განცხადებების გამო პროვოკატორს ეძახდნენ. გუშინ, 28 თებერვალს, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ მათ რიგებში კორუმპირებული ჩინოვნიკი იყო.

მეოცნებეებისგან განსხვავებით, ხაბეიშვილს

## ლევან ხაბეიშვილი: „კორუმპირებული და დასაჭერი საკრებულოში კიდევ ბევრია“

კრწანისის მაჟორიტარის დაკავება არ გაკვირვებია. ამბობს, რომ დასაჭერი კიდევ ბევრია.

– დასაჭერი კიდევ ბევრია, მაგრამ ამისთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა საჭირო. კრწანისის მაჟორიტართან დაკავშირებითაც იგივე მოხდა. მისი დაჭერა ზევით გადაწყვიტეს. შესაძლოა, მან ვიღაცას გადაურბინა. მერიასა და საკრებულოში მასზე დიდი კორუმპირებულები სხედან, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.

საკრებულოს დეპუტატი იხსენებს იმას, თუ რა დღეში აგდებდნენ მას, როცა მმართველ გუნდში არსებულ კორუფციის ფაქტებზე საუბრობდა. მან კორუფციაში სუსის მიერ დაკავებული დეპუტატიც დაადანაშაულა.

– საკრებულოს ყველა სხდომაზე მმართველ გუნდში არსებულ კორუფციაზე ვსაუბრობდი. მომყავდა კონკრეტული ფაქტები. მათგან რა პასუხს ვიღებდი? ნაძვის ხეზე დაგკიდებთ, ხაბეიშვილი მარგინალია, ხაბეიშვილი შოუებს დგამს.

არადა რამდენიმე კვირის წინ სწორედ თემურ გორგაძეს ვეკამათე. ჩვენი კამათის მიზეზი ფონიჭალაში მდებარე საბავშვო ბაღი იყო. სახურავზე აპირებდნენ სათამაშო მოედნის მოწყობას. ამისთვის 1.200.000 გამოყვეს. დღეს ეს შენობა მიტოვებულია და წყალი ჩამოდის.

ჩვენ სერიოზულად ვიჩხუბეთ, ის მეჭიმებოდა. ვეუბნებოდი, რომ მაჟორიტარი ხარ და საქმის კურსში უნდა იყო-თქო. გარდა იმისა, რომ მაჟორიტარია, სარევიზიო კომისიის წევრიც იყო. აქედან გამომდინარე, ის უნდა ყოფილიყო ამ საქმის გამოძიებით დაინტერესებული, – აღნიშნავს ოპოზიციონერი დეპუტატი.

მისი აზრით, ხელისუფლება ოპოზიციის განცხადებებს სერიოზულად უნდა მოეკიდოს.

– ჩვენ არაერთი ფაქტი წარმოვადგინეთ,



მაგრამ ხელისუფლების პასუხი ასეთი იყო – ჩვენ მხოლოდ ბოკერიას და გოკა გაბაშვილს დაველაპარაკებით. თურმე ჩვენ მარგინალები ვართ, აღმოჩნდა, რომ ჩვენ ვამბობდით სიმართლეს.

ხელისუფლება არ დაგვიჯერებს, მაგრამ არ გავჩერდებით. კიდევ ბევრს ვამხელთ. კორუმპირებულები საკრებულოშიც მრავლად არიან და მერიაშიც, – ამბობს ხაბეიშვილი.

ის არ გამორიცხავს, რომ მომავალში კიდევ მოხდეს დაკავება. იმაში ღრმადაა დარწმუნებული, რომ მთავარ კორუმპირებულებს არავინ დააკავებს.

– გორგაძე არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება. სხვებსაც მიაკითხავს სუსი, მაგრამ ეს შერჩევით მოხდება. მთავარ კორუმპირებულებს ხელს არავინ ახლებს. პირველი კორუმპირებული ივანიშვილია, მეორე – მისი მოურავი კალაძე. მათ ვერავინ შეეხება, – ასეთია ოპოზიციონერის დასკვნა.

# ცემა–ტყეპა ბორჯომის საკრებულოში

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დეპუტატი ბორჯომის საკრებულოში დღეს განვითარებულ პროცესებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ბორჯომის საკრებულოში ფიზიკური დაპირისპირება ახალი არ არის და მსგავსი ფაქტები წინა მოწვევის საკრებულოშიც ხდებოდა.

ფოფხაძე „ქართული ოცნების“ მისამართით საბოტაჟსა და შანტაჟზეც საუბრობს.

– მსგავსი სამწუხარო ფაქტები წინა მოწვევის საკრებულოშიც ხდებოდა. ამ ყველაფრის ცენტრში გიუაშვილი იყო. წინა მოწვევის საკრებულოში, მოქმედმა თავმჯდომარემ ჩაჩანიძემ გიუაშვილის გალახვა დაგეგმა. ახლა ერთად არიან, რაც არსებული ფონის გათვალისწინებით ბუნებრივად მიმაჩნია, რადგან ადამიანები სხვა ფორმას ვერ ნახულობენ თუ არა, ფიზიკურ დაპირისპირებასა და შეურაცხყოფას.

ლეიბორისტები, პატრიოტთა ალიანსი და ნაციონალური მოძრაობა ერთად ერთადერთი მიზნით დადგა, რომ „ქართულ ოცნებას“ შანტაჟი და საბოტაჟი მოუწყოს, რათა ვერაფერი გავაკეთოთ. ეს რაიონსა და მოსახლეობას აზარალებს. შეიძლება სხვადასხვა გამოსავალი მოიძებნოს, მაგრამ შეიძლება ერთ-ერთი გამოსავალი ხელახალი, ახალი არჩევნების ჩატარება იყოს, – განაცხადა ფოფხაძემ.

ბორჯომის ცემა-ტყეპას „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია გამოეხმაურა.

მან არსებულ ვითარებას დემოკრატიის კრიზისი უწოდა და შს მინისტრისგან მოითხოვა განმარტებები.

– ეს არის დემოკრატიის კრიზისი. ეს არის „ქართული ოცნების“ სახე. არჩევნები საკრებულოში წააგეს და ამას პასუხობენ დაუფარავი ძალადობით, უტიფარი ძალადობით, თან რა საკითხზე – მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელფასების მატებაზე რომ არ თანხმდება საკრებულო, რომელმაც დემოკრატიულად მოუგო მათ არჩევნები ყველა მეთოდის მიუხედავად, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ახალ შს მინისტრს, რომელიც ბევრს საუბრობდა კანონის უზენაესობაზე, სად იყო პოლიცია იმ დროს, როდესაც შეურაცხყოფას აყენებდნენ საკრებულოს წევრებს, ოპოზიციონერ დეპუტატებს, რომლებიც იქ ჩავიდნენ?! ყოველთვის, როდესაც პრემიერი და ივანიშვილის გუნდის სხვა წევრები მაღალფარდოვანი ტერმინებით გველაპარაკებიან დემოკრატიაზე, აგერ არის მაგალითი, ძალადობისა და მოსყიდვის მიუხედავად, სადაც არჩევნები წააგეს და იქ ამ წაგებას არ ეგუებიან და პასუხობენ ძალადობით. ეს არის სამარცხვინო და არის დიდი ზიანის მიმყენებელი ნაბიჯი კიდევ ერთხელ „ქართული ოცნებისგან“ ჩვენი ქვეყნისთვის, – განაცხადა ბოკერიამ.

# მამუკა გამყრელიძე: „ქართული ოცნება“ ჩვეულებრივი ბაცაცების გაერთიანებაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

**მამუკა გამყრელიძე:**

– ბევრი ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება“ არის რუსული პროექტი. ის არც რუსული პროექტია, არც დასავლეთ ევროპული და საერთოდ არანაირი პროექტი არ არის. ის არის ჩვეულებრივი ბაცაცების გაერთიანება, რომლებიც მოსულები არიან მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე გაიხანგრძლივონ თავიანთი არსებობა ხელისუფლებაში. მოიპარონ რაც შეიძლება მეტი ფული ბიუჯეტიდან, წაიღონ სახლებში და ყველანაირად შეეცადონ ცალკე რუსეთისთვის რევერანსების გაკეთებას და ცალკე – დასავლეთისათვის. ძალიან კარგად მახსენდება შევარდნაძის პერიოდი. ის ცდილობდა აქეთაც ყოფილიყო და იქითაც, მაგრამ, შევარდნაძისგან განსხვავებით, ამათ ხედვა არ გააჩნიათ!

***– შევარდნაძეს რა ხედვა ჰქონდა?***

– შევარდნაძეს ხედვა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ორ ფრონტზე იყო, ცდილობდა აქეთაც დაელაგებინა სიტუაცია და იქითაც, საბოლოოდ მაინც ქვეყნის სასიკეთოდ მიმართავდა



სიტუაციას. გაიხსენეთ მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან ნავთობის გატარებაზე, სწორედ მის დროს დაიწყო ნატოსთან დაახლოებაზე საუბრები და ასე შემდეგ.

ამათ შევარდნაძეს არც შევადარებ. ამათ საკუთარ მოსახლეობასთანაც ვერ დაულაგებიათ სიტუაცია და ყველაზე მდაბიო ინსტინქტებზე ჰყავთ მიბმული ადამიანები, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაში არიან. ყველანაირი პერსპექტივა მოუსპეს და ცდილობენ, ასე 20-20 ლარით შეინარჩუნონ მათი კეთილგანწყობილება!

***– სერიოზულ კრიზისში ვიმყოფებით როგორც საგარეო, ისე საშინაო კუთხით და სად არის გამოსავალი?***

– ერთადერთი გამოსავალი არსებობს! ეს არის ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანება. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს, მე ვგულისხმობ სამოქალაქო სექტორს, უპირველეს ყოვლისა! ხალხი უნდა გაერთიანდეს. აქ იცით, მთავარი რა არის?!

***– რა?***

– ის, რომ ჩვენ არ გვყავს სამოქალაქო საზოგადოება. ქართველ ადამიანს არ გააჩნია იმის უნარი, აღიქვას, რომ სახელმწიფოში ცხოვრობს. არც აქვს იმის მოთხოვნილება, რომ მას ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. არც იქით ვართ, არც აქეთ. ღამურასი არ იყოს, არც მიწისა ვართ, არც ცისა. სადა ვართ, ჩვენ თვითონაც არ ვიცით! სანამ არ გაიზრდება ის პლასტი ჩვენი მოქალაქეებისა, რომელიც გაითავისებს და შეიგრძნობს, რომ მას სჭირდება გადარჩენა და მარტო ვერ გადარჩება, ის კოლექტიურად უნდა გადარჩეს, სანამ ეს არ მოხდება, მანამ ამ მდგომარეობაში ვიქნებით.

***– და ეს როდის მოხდება?***

– ორ-სამ დღეში ნამდვილად ვერ მოხდება. ამას დიდი დრო დასჭირდება. დიდი ეჭვი მაქვს, რომ პატივცემული ივანიშვილის რეჟიმი კარგა ხნითაა მოსული. მისი გადაგდება ძალიან რთული იქნება უახლოესი 10 წლის განმავლობაში. რასაკვირველია, საგარეო ფაქტორის ჩარევა თუ არ მოხდება.

***– ამ პროცესებს ოპოზიციის პასიურობაც უწყობს ხელს?***

– საერთოდ გვყავს ოპოზიცია?! ვინმეს აქვს იმის შეგრძნება, რომ არსებობს ოპოზიცია?! ოპოზიციური ველი ხელისუფლების მიერ არის დაგეგმილი. რა თქმა უნდა, ეს ფსევდოოპოზიციური ველია. თავის ხელის ბიჭებს მიუჩინეს შესაბამისი ადგილი და მათთვის ქმნიან კომფორტულ გარემოს, ხოლო ვინც მათ ეწინააღმდეგება, მათ პირდაპირ უწოდებენ მარგინალებს.

დღეს მიმდინარეობს ოპოზიციის მარგინალიზაცია. თურმე დღეს ხელისუფლების გადასაწყვეტი ყოფილა, როგორი ოპოზიცია უნდა არსებობდეს და როგორი არა! როდესაც ეს ყველაფერი საზოგადოებაში არ იწვევს გაღიზიანებას და პროტესტს, ძალიან რთულია გაერთიანების მოპოვება, შეუძლებელიც კი.

ამის დაკვეთა სწორედ საზოგადოებისგან უნდა მოდიოდეს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ. სრული პასიურობაა და ამის ფონზე ხდება გადაწვები, ხეების თრევა აქეთ-იქით, მიწების მითვისება, საზღვრის გადმოწევა და ათასი უბედურება!

# რამაზ საყვარელიძე: „იარაღით რუსეთისგან თავს ვერ დავიცავთ“

თენგო ხაბეიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური პროცესების შესახებ და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ჩვენს კითხვებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

***– ბატონო რამაზ, ბოლოს დროს საქართველოში ძალიან მომრავლდა ხანძრები და გაჩნდა მოსაზრება, რომ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს პოლიტიკური ან კომერციული ინტერესი, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს თეორია?***

– საქართველოში ხანძრების არსებობა საეჭვოა, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდეს. იყო საუბარი იმაზე, რომ 2008-ში გაჩენილი ხანძრები რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული, თუმცა მანდაც ძნელია მოტივი ამოიკითხო, რადგან ამ ტიპის აქტმა რაღაც სარგებელი უნდა მისცეს ავტორს. თუ ეს ტერორისტული აქტია, მაშინ უნდა გამოჩნდნენ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც თავის თავზე აიღებდნენ მომხდარს. გვახსოვს ხანძრების დროს პოლიტიკური ჯგუფები, რომელთა ინტონაციაშიც სიხარულიც კი ჟღერდა, მაგრამ იმის ბრალდება, რომ მათ აიღეს ასანთი და დაანთეს ხანძარი, ძალიან დიდი ცოდვაა. მე მეჩვენება, რომ ერთადერთი ვერსია, რომელიც გვრჩება გამიზნული ხანძრის თეორიის შექმნისას, არის ის, რომ შეიძლება კომერციული ინტერესი იყო.

***– რამდენად ეფექტური იყო ხანძრის დროს ხელისუფლების მოქმედებები?***

– სამწუხაროა, მაგრამ ხანძრებში გამოწრთობა მოგვიწია. რეაგირება უდავოდ სწრაფი იყო, სახანძრო ბრიგადები 4 წუთში მივიდნენ ადგილზე. ხელისუფლების მოქმედებები ამ უბედურების ფონზე საკმაოდ ეფექტური იყო და მოახერხებს თუ არა მმართველი გუნდი ამ უპირატესობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას, ეს უკვე პიარტექნოლოგიების საქმეა.

***– არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობამდე დაიღუპა გიგა ოთხოზორია. რა ბერკეტები გვაქვს იმისათვის, რომ თავის დაცვა მოვახერხოთ?***

– ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი არის ის, რასაც ქართული მხარე დაბეჯითებით ცდილობს, რომ შეიქმნას დასავლური კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რასაც მეორე მხრივ რუსები და სეპარატისტები ეწინააღმდეგებიან. ასეთი ტიპის ინციდენტების დროს ქვეყანა ომს იწყებს ხოლმე, თუმცა ომი ჩვენთვის გამოსავალი არ არის. 2008-შიც მოქალაქეების დაცვა უნდოდა სააკაშვილის რეჟიმს, მაგრამ რა შედეგი მივიღეთ, ვნახეთ. ერთი სიტყვით, იარაღით რუსეთისგან ვერ დავიცავთ თავს, თანაც ახლა უკვე ყველა იურიდიული მხარე გაიფორმა საიმისოდ, რომ ნებისმიერი ინციდენტის დროს შეეძლოს ჯარის შემოყვანა. ასევე არც ის არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა კვლავ სცადოს საქართველოს პროვოკაციაზე წამოგება და შემდეგ უკვე შეეცდება, დასავლეთის მხარდაჭერას წყალი შეუყენოს. ამიტომ აჩქარება ჩვენთვის საზიანო იქნება. დღეს ერთადერთი, ვინც რუსეთს უპირისპირდება, არის დასავლეთი, თან უპირისპირდება სანქციებით, ამით ცდილობს მის დასუსტებას. ეს კი გრძელვადიანი პროცესია და ამიტომაც უნდა დაველოდოთ.

***– საუბარი იყო, რომ ქართველი მებრძოლების მონაცემები აქვთ რუსებს. როგორ ფიქრობთ, საიდან შეიძლება აღმოჩენილიყო ეს მონაცემები მათ ხელში?***

– მიჭირს თქმა, რომ საქართველოდან შეიძლებოდა ვინმეს ასეთი ინფორმაციის მიეწოდებინა, მაგრამ მონაცემების აკრეფა დღეს დიდი პრობლემა არ არის. დასავლეთს აქვს იმ რუსი ჯარისკაცების მონაცემები, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან. მარტივად ფოტოებს გადაიღებ და შემდეგ უკვე იწყებ ძებნას. ანალოგიური გზებით რუსებსაც შეუძლიათ დეტალურად გაარკვიონ, ვინ იბრძოდა მათ წინააღმდეგ როგორც აფხაზეთში, აგრეთვე სამაჩაბლოშიც.

***– მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზეც მინდა გკითხოთ. რამდენად შესაძლებელია, რომ ოპოზიციამ მოახერხოს გაერთიანება და საერთო კანდიდატი წარადგინონ არჩევნებზე?***

– ოპოზიციის გაერთიანება მარტო იმ შემთხვევაში იქნება შედეგიანი, თუ მთელი ოპო-



ზიციური პარტიები დაფარავენ მოსახლეობის 50 პროცენტს. ჯერ ერთი, გაერთიანება ასეთ არითმეტიკულ ჯამს არ იძლევა ხოლმე, იმიტომ, რომ ამომრჩევლისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს რომელიმე პარტია და შეიძლება თავის საყვარელ პარტიასაც არ მისცეს ხმა. დღევანდელი რეიტინგებით, ჩვენი ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში, მათი არითმეტიკული ხმები ვერ აღწევს იმ რაოდენობამდე, რაც აქვს მმართველ პარტიას. ასე რომ, ასეთ ერთობას არანაირი აზრი არ ექნება.

***– მაშინ რომელი სტრატეგია იქნება შედეგის მომტანი?***

– საზოგადოებას ოპოზიციის და ზოგადად პარტიების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს და აქედან გამომდინარე, დაბალი რეიტინგი აქვთ. შესაბამისად, აზრი ექნება არაპარტიული კანდიდატის დაყენებას. ამ სტრატეგიამ მერის არჩევნების დროს, მეტ-ნაკლებად გაამართლა ელისაშვილის შემთხვევაში. ელისაშვილმა ყველა ოპოზიციური პარტია დაძლია, ოღონდ ველარ მოერია სახელისუფლებო კანდიდატს, რადგან კალაძე პიროვნულადაც ძლიერი კანდიდატი იყო და ამავდროულად მმართველი აპარატი მუშაობდა მასზე.

***– ბიძინა ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებაზეც მიდიოდა საუბარი. შესაძლებელია თუ არა, რომ მართლაც დაბრუნდეს ყოფილი პრემიერი პოლიტიკაში?***

– მე ვთვლი, რომ საინტერესო ვერსიაა, თუმცა ადამიანი წავიდა პოლიტიკიდან და განაცხადა, რომ ეს არ არის ჩემი საქმეაო, ახლა დაბრუნდეს და ერთ-ერთი ყველაზე პოლიტიზებული თანამდებობა დაიკავოს, ძალიან საეჭვო მგონია.

***– თუკი ამჟამინდელი პრეზიდენტი იბრძოლებს ვადის გახანგრძლივებისთვის, რა შანსები ექნება?***

– გიორგი მარგველაშვილს შეიძლება ყველაზე დიდი შანსი ჰქონდეს. ის აღარ აღიქმება სახელისუფლებო კანდიდატად უკვე, მაგრამ ბევრი ამომრჩევლის თვალში მარგველაშვილი ოპოზიციისკენ არის გადახრილი. ამიტომ, თუ დარჩენილ პერიოდში ის მოახერხებს ამ ვერსიის ჩამოშორებას, მას სერიოზული და საკმაოდ კარგი შანსები აქვს არჩევნებში გასამარჯვებლად.

***– იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უვადოდ აირჩია სულხან მოლაშვილის საქმის მოსამართლე. ამ შემთხვევაში ხელისუფლება როგორ უნდა მოქცეულიყო, უნდა გამოეყენებინა ბერკეტები და ეცადა, ეს მოსამართლე არ აერჩიათ?***

– რა თქმა უნდა, სასამართლო სისტემის ცხოვრებაში ჩარევა არ შეიძლებოდა და ძალიან კარგი გააკეთეს, რომ არ ჩაერივნენ, მაგრამ აქამდე არ უნდა მიეყვანათ საქმე. მაშინ, როდესაც კანონი მუშავდებოდა, იქ უნდა ჩადებულიყო ბარიერი საიმისოდ, რომ უსამართლობის ჩამდენი მოსამართლეები არ დანიშნულიყვნენ უვადოდ. ამის მერე პრემიერ-მინისტრმაც თქვა, რომ კითხვის ნიშნები ჩნდებაო, მაგრამ აწი კითხვის ნიშნებს აზრი აღარ აქვს. კანონის მომზადების, სასამართლოსა და პროკურატურაში კადრების დანიშვნის კუთხით ხელისუფლების კრიტიკა მართებულია, ხოლო რაც შეეხება კითხვის ნიშნებს, გავიმეორებ პრემიერის სიტყვებს, ამას მან საკუთარ გუნდში უნდა გასცეს პასუხი.

# გიგი უგულავა სასამართლომ დამნაშავედ ცნო



თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას სასამართლომ 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ყოფილ მერს ბრალად თბილისის განვითარების ფონდიდან 48 მილიონი ლარის მითვისება-გაფლანგვა ედებოდა მაგრამ მოსამართლის გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით წარდგენილი ბრალი ამავე კოდექსის 333-ე მუხლით გადაკვალიფიცირდა, რაც გამოტანილმა განაჩენმა შთანთქა და სასჯელი მას მოხდილად ჩაეთვლება.

# საქართველოს ეკონომიკა იანვარში 4,4%-ით გაიზარდა

სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2018 წლის იანვარში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4,4 პროცენტი შეადგინა.

2017 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2018 წლის იანვარში ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა, სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ხოლო კლება დაფიქსირდა მომხმარებლისათვის სხვა მომსახურების გაწევის, ტრანსპორტის, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების და კავშირგაბმულობის სფეროებში.

იანვარში ექსპორტმა 222.7 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა – 593.9 მლნ დოლარი. უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 370 მლნ




დოლარი შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვამ 5.065,6 მლნ ლარს მიაღწია, რაც წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12,9%-ით მეტია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა იანვარში 966.5 მლნ ლარი შეადგინა, ხარჯებმა კი 681.9 მლნ.

# ჯემალ გამახარია: „ოკუპაციის კანონი ზოგ ადგილებში შერბილდება, ზოგან გამკაცრდება“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მონაწილეობითა და ინიციატივით მიმდინარეობს ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონის საზოგადოებრივი განხილვა კანონში ცვლილებების შესატანად. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ ოკუპაციის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო ჯემალ, რატომ იგეგმება ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებები?***

– ვიზალიბერალიზაციის შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს მიცემული აქვს სამოქმედო გეგმა. ასევე ოკუპაციის კანონთან დაკავშირებით არსებობს ვენეციის კომისიის შენიშვნები. ეს და სხვა გარემოებები გვავალდებულებს, დავიწყოთ ოკუპაციის კანონში ცვლილებების შესახებ საკითხის განხილვა. ჩვენი მიდგომა მდგომარეობს შემდეგში: ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს თუ არა დეოკუპაციის პროცესი?

***– ვინ შეიძლება თქვას, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის პროცესი მიმდინარეობს?***

– იმის მიხედვით, დეოკუპაციის პროცესში რას იგულისხმებ, პასუხი შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. თუ იგულისხმებ, რომ რუსის ჯარი გადის, არ გადის და, ამ თვალსაზრისით, დეოკუპაციის პროცესი არ მიმდინარეობს. თუ ვიტყვით, რომ საერთაშორისო ზეწოლა ძლიერდება, თვითონ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მოსახლეობაში არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება საოკუპაციო ჯარისა და საქართველოსადმი, ძველი ურთიერთობების აღდგენისადმი, მაშინ დეოკუპაციის პროცესი ძალიან ნელა, ძალიან უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც რაღაცნაირად მიმდინარეობს.

***– მცოცავი ანექსიის ფონზე იმის თქმა, დეოკუპაციის პროცესი მიმდინარეობსო, ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?***

– არ შეგედავებით. არ ვამტკიცებ, რომ ჯარის გაყვანისა და დეოკუპაციის პროცესი მიმდინარეობს. მხოლოდ ის ვთქვი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში იქმნება განწყობა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა გაიზარდა, რუსეთზე ზეწოლა ძლიერია. საერთაშორისო ორგანიზაციები აშკარად ხედავენ, რომ რუსის ჯარი, რომელიც იგივე აფხაზეთში დგას, მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ არ მოქმედებს.

ჩვენ საქმე გვაქვს ორ პროცესთან. პირველი არის დეოკუპაციის პროცესი, რომელიც არის დასაჩქარებელი და ერთ ადგილზე დგას. მეორე – დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცოცავი ანექსიის პროცესი მიმდინარეობს. ამ პროცესს ხელი ხომ უნდა შეეშალოს. ჩვენ გვინდა ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონით დეოკუპაციის პროცესს ხელი შეეწყოს და მცოცავ ანექსიას ხელი შეეშალოს. ამ საკითხების გარშემო მოვაწყეთ დისკუსია პროფკავშირების სასახლეში, სადაც ვმსჯელობდით, ეს კანონი სად შეიძლება შევარბილოთ და სად რომელი მუხლები გავამკაცროთ.

***– რაზე შეთანხმდით?***

– წინადადებებს, რომლებიც წარმოადგინეს საზოგადოების წარმომადგენლებმა, მივაწოდებთ სამინისტროებს, საქართველოს პარლამენტს.

***– რომელი მუხლების შერბილებას და გამკაცრებას აპირებთ?***

– უპირველეს ყოვლისა, საუბარია ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომელიც ეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვას. საუბარია ამ მუხლის გარკვეულ შერბილებაზე. ასევე შესწორებები უნდა შევიდეს მე-6 მუხლში, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას ეხება. ძალიან თამამი წინადადებებია წამოყენებული. ისეთი ცვლილებები უნდა შევიდეს კანონში, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო ეკონომიკურ საქმიანობას.

გვინდა, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ყველა სიკეთით აფხაზურმა მხარემაც ისარგებლოს. მათ შორის, საერთო ეკონომიკური საქმიანობით, მაგრამ ამას ოკუპაციის შესახებ დღევანდელი კანონი ხელს უშლის. ამიტომ კანონში ისეთი ცვლილებები და დამატებები უნდა შევიდეს, ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობა აფხაზეთის ტერიტორიაზე წახალისდეს. შეხვედრაზე საუბარი იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე სოფლის დონეზე თავისუფალი ეკონომიკური ზონისა და ერთობლივი საწარმოების შექმნაზეც.

***– გამკაცრება რას უნდა შეეხოს?***

– გამკაცრება უნდა შეეხოს აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე „მოღვაწე“ პირებს (ბიზნესმენები იქნებიან თუ მეწარმეები), რომლებიც იქ საქმიანობენ. კანონის გამკაცრება შეეხება რუს სამხედროებს, მათ ოჯახებს (რომლებიც ოკუპაციას ახორციელებენ), ადამიანის უფლებების დამრღვევებს (რაზეც პასუხისმგებელი ოკუპანტი მხარეა), კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამზიანებლებს.

***– რუსი სამხედროების მიმართ რა უნდა გაამკაცროთ, ისინი სამხედროები არიან და ახორციელებენ ოკუპაციას და არიან იქ.***

– რუს სამხედროებსა და მათი ოჯახის წევრებზე სავსებით შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და საერთაშორისო ძებნის გამოცხადება.

***– აგაშენათ ღმერთმა, მაგრამ 2008 წლამდე 1993 წელს ვინც ჩაიდინა დანაშაული, მათ მიმართ არ გამოუცხადებიათ საერთაშორისო ძებნა და ახლა ვინ გააკეთებს ამას?***

– 1992-93 წლებში აფხაზეთში მომხდარ ეთნიკურ წმენდასა და გენოციდზე საქმე აღძრულია და დღემდე საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება ეთნოწმენდისა და გენოციდის მუხლით.

***– ამდენ ხანს რა ვერ გამოიძიეს?***

– გასაგები მიზეზების გამო, გამოძიება დღემდე არ დასრულებულა, მაგრამ საქმე აღძრულია და პროცესი მიმდინარეობს.

***– 2008 წელსაც ხომ ჩაიდინეს დანაშაული, მაგალითად, კოკოითის მიმართ საქმე აღძრულია და საერთაშორისო ძებნა არის გამოცხადებული.***

– იმაზე, რაც ცხინვალში მოხდა, საქმე აღძრულია საერთაშორისო სასამართლოში და გამოძიებაც მიმდინარეობს და მას ხელი არ შევუშალოთ.

***– ჰააგის პროკურორი ფატი ბენსუდა რომ იძიებს საქმეს, ვიცით, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ?***

– კანონში ყველას, ვინც არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ოკუპაციას ახორციელებს, სერიოზული პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული. თუმცა, ჩვენ მიერ მოწყობილ მრგვალ მაგიდასთან ითქვა, რომ ამ კანონის მთელი რიგი მუხლები არ არის ამოქმედებული და უნდა ამოქმედდეს. რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ვიღაც დავაკავოთ და ციხეში მოვათავსოთ, ეს არ უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორი, პასუხი მოეთხოვოთ იმ ადამიანებს, ვინც დანაშაული ჩაიდინა. სს საქმე უნდა აღიძრას, როგორც ოთხოზორიას მკვლელის მიმართ გაკეთდა. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაც და ძებნის გამოცხადებაც სავსებით შესაძლებელია.

***– ამბობთ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამნაშავე პირებს ვერ ვაკავებთო, სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებიც 2008 წელს ომში იყვნენ ჩაბმული, უცხო ქვეყნებში წარმომადგენლობებს როგორ ხსნიან? როგორ დადიან უცხო ქვეყნებში?***

– ისინი რუსეთის პასპორტით დადიან, რუსეთის მოქალაქეები არიან. კერძო პირები ხსნიან რაღაც არა სახელმწიფოებრივ, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რასაც იმ ქვეყნების კანონი არ კრძალავს, რაზეც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობები ზომებს იღებენ.

***– როდესაც გადაადგილების თავისუფლებაზეა საუბარი, რა იგულისხმება? ჩვენგან გადაადგილება ხომ აქამდეც თავისუფალი იყო?***

– ოკუპაციის კანონი კრძალავს რუსეთის მხრიდან მოქალაქეების აფხაზეთში შემოსვლას. თუმცა, გარკვეული გამონაკლისები არის დაშვებული. კანონში წერია, რომ აფხაზეთში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ზუგდიდის მხრიდან. მათ, ვინც დაარღვევს კანონს და რუსეთის მხრიდან შემოვა, გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. რუსეთის მხრიდან ვინც შემოვა და დაარღვევს კანონს, მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით უნდა შეიცვალოს. ამით, მგონი, უბედურება არ იქნება და ქვეყანა არ დაიქცევა. ვინც რუსეთის მხრიდან აფხაზეთში შედის, არც კი იცის, სად მოხვდა, არ იცის, რომ ამ ტერიტორიის მიმართ მოქმედებს საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. სავსებით შესაძლებელია ამ მუხლის შერბილება.



***– რას გვაძლევს ჩვენ ამ მუხლის შერბილება, რა, ჩვენ ფსოუს მხრიდან საზღვარს ვხსნით?***

– არა, ამ მუხლის შერბილება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება, საზღვრის მოშლას არანაირად არ ნიშნავს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ხომ რჩება. აქ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვბრალდეს, რომ გადაადგილებას ვზღუდავთ. ჩვენ იმ ტერიტორიას ვერ ვაკონტროლებთ, ამიტომ დამრღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საკმარისია.

არიან ქართველები, რომლებსაც აქვთ რუსეთის მოქალაქეობა, შემოვიდნენ ფსოუს მხრიდან და, ამ კანონის გამო, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა. დავიჭირეთ და დავსაჯეთ.

***– იმ ქართველმა არ იცის, რომ აფხაზეთის ოკუპაცია არის მომხდარი და ფსოუს მხრიდან არ უნდა შემოვიდეს?***

– გასაგებია, მაგრამ აფხაზეთში შესვლაზე ისედაც პრობლემა აქვს, ამიტომ უცხო ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და ჩვენ პრობლემები რატომღა უნდა შევუქმნათ.

***– ეს არ არის არგუმენტი.***

– იგივე აფხაზი, რომელსაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვს, რატომ არ უნდა შევიდეს აფხაზეთში და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რატომ უნდა დავაკისროთ. მეორე მხარესაც აქვს არგუმენტი.

***– ეგ არ არის სახელმწიფოებრივი მიდგომა.***

– ამ რეჟიმთან დაკავშირებით უნდა შევთანხმდეთ. შემოთავაზებული წინადადებები უნდა გაანალიზდეს. ჯერ წინადადებებია, კანონი არ არის. გითხარით, რომ ჩვენ გვაქვს გარკვეული ვალდებულებები ასოცირების ხელშეკრულებიდან, სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე. ეს არ არის პრობლემა, რომელიც ძალიან დიდი დაპირისპირების საგანი გახდება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

***– ასოცირების ხელშეკრულებაში ის წერია, აფხაზეთის მხრიდან ფსოუზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის დამრღვევს პასუხისმგებლობა შეურბილეთო?***

– არა, მაგრამ როდესაც ჩვენ ასოცირების ხელშეკრულებაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის, რომ აფხაზურ მხარეს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს, ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს უნდა მივცეთ საშუალება, ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რასაც იძლევა ასოცირების ხელშეკრულება.

ეს ვალდებულება ქართულ სახელმწიფოს აღებული აქვს. ეს ვალდებულება რომ შევასრულოთ, საჭიროა გარკვეული ცვლილებები კანონში, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს ადმინისტრაციული საზღვრის თავისუფლად გადაკვეთისა და ეკონომიკური სარგებლის მიღების საშუალებას მისცემს.

***– ჩვენ მათ ხელს ხომ არ ვუშლით, გადმოვიდნენ ზუგდიდში, ჩამოვიდნენ ქუთაისსა თუ თბილისში და აქედან გადაფრინდნენ, სადაც უნდათ?***

– არა, ხელს არ ვუშლით.

***– აბა, რაზეა საუბარი, რუსეთს ვუწყობთ ხელს?***

– არა. ეს ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას შეეხება. კანონი კრძალავს ფულად გადარიცხვებს, ბიზნესი კი ფულადი გადარიცხვების გარეშე არ ხდება. ამიტომ პრობლემა რაღაცნაირად უნდა დარეგულირდეს, რომ ერთობლივი საწარმოს გახსნა შესაძლებელი გახდეს.

***– თვითონ აფხაზეთში, აფხაზებში არიან ადამიანები, რომლებიც ერთობლივი საწარმოს გახსნაზე არიან თანახმა და იციან, რომ ჩვენ დათმობებზე მივდივართ?***

– ძალიან ბევრმა ადამიანმა ამის შესახებ იცის. რა თქმა უნდა, იქ არსებული დე ფაქტო ხელისუფლება ამის წინააღმდეგია. ოკუპანტი წინააღმდეგია, დუმაში მთელ რიგ დადგენილებებს ღებულობენ, რომ ჩვენი ქმედებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეზღუდონ. რასაკვირველია, ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობას ისინი ყველანაირად ხელს შეუშლიან, მაგრამ მათი ქმედებები არ გვათავისუფლებს ვალდებულებებისაგან, რომ ჩვენ იქ ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის პირობები უნდა შევქმნათ. ამით ერთი კაცი ისარგებლებს, ბევრი თუ ვერავინ ისარგებლებს, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მსურველები არიან.

***– საქართველოს საზღვრის დანარჩენი ნაწილის, მაგალითად, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მხრიდან საზღვრის დარღვევა სისხლის სამართლის კოდექსით ხომ ისჯება?***

– რა თქმა უნდა.

***– მაშინ რუსეთის მხრიდან ფსოუს საზღვრის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა რატომ უნდა შემსუბუქდეს და რატომ არ უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული?***

– ალბათ უნდა იყოს, კანონმდებელმა, როცა ეს კანონი მიიღო, რუსეთის მხრიდან, ფსოუზე, საზღვრის დარღვევისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ჩაწერა. თუმცა, იგივე კანონმდებელმა ჩაწერა, რომ დეოკუპაციის პროცესს ხელი არ უნდა შევიშალოთ და არ უნდა შევაფერხოთ. არაფერი ისეთი არ ხდება.

ძალიან ბევრმა უცხოელმა, რომელიც ჩვენი მეგობარი ქვეყნის მოქალაქეა, არ იცის ოკუპაციის კანონის არსებობის შესახებ, მიდის აფხაზეთში, შემდეგ მოდის მეგობარ საქართველოში, სადაც ეუბნებიან, შენ კანონი დაარღვიეო და ან აჯარიმებენ, ან ციხეში სვამენ. ასეთი გაუგებრობები რომ არ მოხდეს, ამიტომ ამგვარ დარღვევაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა მოიხსნას და გადავიდეთ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე.

***– ეგ არ ამართლებს პასუხისმგებლობის შერბილებას. თუ ვინმე მეგობარი ქვეყნიდან მიდის აფხაზეთში და ოკუპაციის შესახებ არაფერი იცის, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური წარმომადგენლობების ბრალია. თუკი მეგობარი სახელმწიფოა, მის მოქალაქეს უნდა გააგებინო, აფხაზეთში საიდან უნდა შევიდეს.***

– გეთანხმებით, მაგრამ ძალიან ბევრი გაუგებრობა ხდება. ზოგადი მიდგომა გულისხმობს, ერთი მხრივ, ხელი შეეწყოს დეოკუპაციის პროცესს, მეორე მხრივ, ხელი შეეშალოს მცოცავი ანექსიის პროცესს. ეს კონკრეტულ მუხლებში როგორ აისახება, კანონმდებელმა უნდა იმსჯელოს.

# რა გამოწვევების წინაშეა ბიზნესი

საშუალო და მცირე, ასევე მსხვილი ბიზნესის განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებზე ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე გვესაუბრება.

***– ბატონო ირაკლი, მართალია, დიდი ხანი არა, რაც თქვენ ბიზნესომბუდსმენად დაინიშნეთ, მაგრამ ვიცით, რომ თქვენ უკვე გქონდათ აქტიური კონსულტაციები მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან და მათგან მოისმინეთ იმ პრობლემების შესახებ, რაც მათ აქვთ. ვიდრე კონკრეტულად შევეხებოდეთ ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე თქვენეულ შეფასებებს, საინტერესო იქნებოდა თქვენგან, როგორც ბიზნესომბუდსმენისგან მოსმენა, თუ რეალურად რა ვითარებაა დღეს ქართულ ეკონომიკაში?***

– რა თქმა უნდა, დავიწყეთ აქტიური კომუნიკაციით ბიზნესთან და შეხვედრების მთავარი მიზანია პრიორიტეტული გავხადოთ ის ძირითადი საკითხები, რომელიც აქტუალურია ბიზნესისთვის.

გვქონდა შეხვედრები სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრ ბიზნესკომპანიებთან, იურიდიულ და საკონსულტაციო კომპანიებთან, ბიზნესის და ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თებერვალ-მარტში ბიზნესთან შეხვედრები გაგრძელდება, – იქნება ეს მსხვილი, მცირე, სექტორული თუ რეგიონალური ბიზნესგაერთიანებები.

ქვეყნის ბიზნესგარემოს და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს მთლიანობაში შევაფასებდი პოზიტიურად, ამას ადასტურებს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების შეფასებები.

ქვეყანაში გვაქვს ეკონომიკური ზრდა, იზრდება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, იზრდება ინვესტიციები, რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში არის დაბალი გადასახადები და მარტივი პროცედურები ბიზნესის წარმოების პროცესში.

გვაქვს კორუფციის და კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი, რაც აძლიერებს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯს. გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები ევროპასთან, ჩინეთთან, რაც, ვფიქრობ, კარგი კონკურენტული უპირატესობაა. გვაქვს აქტიური ჩართულობა რეგიონალურ და გლობალურ პროექტებში.

გამოწვევებად რჩება სამუშაო ძალის კვალიფიციურობა, სტაბილური სავალუტო კურსი, სტაბილურობა რეგიონში და სასამართლო სისტემა.

***– ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესს, სავარაუდოდ, მსგავსი პრობლემები უნდა ჰქონდეს, ხოლო მსხვილ ბიზნესს მათგან ბევრად განსხვავებული, მოდით, საუბარი ჯერ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესების პრობლემებზე დავიწყოთ...***

– რიგ საკითხებში მსხვილი და მცირე ბიზნესის პრობლემატიკა მსგავსია, თუმცა მცირე ბიზნესს გააჩნია ბევრად ნაკლები რესურსი და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ უწყებებთან.

მსხვილი ბიზნესი ამ კუთხით ბევრად უფრო ორგანიზებული და თანმიმდევრულია. საჭი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თემურ ჭყონია: „დროა, ბაზრობები და წარმოებები ქალაქგარეთ გადავიდეს“



ბიზნესმენი თემურ ჭყონია მტკნარი წყლის წარმოებაში სერიოზული ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს.

როგორც „საქმის კურსის“ პირდაპირ ეთერში ჭყონიამ განაცხადა, მტკნარ წყალზე მოთხოვნა მსოფლიოში დიდია და საქართველოს, მისი ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, ამ სეგმენტში მნიშვნელოვანი ნიშის დაკავება შეუძლია.

ბიზნესმენმა მოქმედი მთავრობის საქმიანობაც შეაფასა და განაცხადა, რომ ახალი საგადასახადო შეღავათები ადგილობრივი ბიზნესისათვის გარკვეული წინსვლის წინაპირობა გახდება.

ჭყონია ფინანსთა მინისტრის, მამუკა ბახტაძის იმ განცხადებასაც დადებითად აფასებს, სადაც ბახტაძემ მცირე მთავრობის აუცილებლობაზე ისაუბრა. ამავდროულად ჭყონიას მიაჩნია, რომ ქართველ ბიზნესმენებს ინოვაციური მიდგომები აკლიათ და გადმოაქვთ მსოფლიოში უკვე დანერგილი პროდუქტები, საკუთარს კი ნაკლებად ქმნიან.

– თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ, რა შუაშია ბილ გეითსი და საქართველო... თუ ასე მივუდექით, არ დაიბადება ბილ გეითსი საქართველოში. ადამიანებმა გარაჟში შექმნეს მილიარდები და ჩვენ გვინდა მაინცდამაინც ჭოპორტის პომიდვრით გავიდეთ დამკაში“ და ასე არ გამოვა, – აცხადებს თემურ ჭყონია.

მისი თქმით, ბიზნესს უცხოეთიდან გადმოაქვს თანამედროვე ტექნოლოგიები, ადგილზე კი შესაბამისი მუშახელი არ ჰყავს, რომელიც ამ ტექნოლოგიებს ეფექტურად გამოიყენებს. „საქმის კურსში“ ჭყონიამ თბილისის განვითარების პერსპექტივაზეც ისაუბრა. მისი აზრით, დროა ბაზრობები და წარმოებები ქალაქგარეთ გადავიდეს.

– მიმართულება, რომელიც კახა კალაძეს აქვს არჩეული, არის ძალიან საინტერესო მიმართულება. ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც კალაძეს აქვს, სწორ მიმართულებას მისცემს ყველა პროექტს. მაგალითად, ძველი უბნების განახლების მიმართულებით. მშენებლობების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ უნდა ყალიბდებოდეს სწორი პროექტები. მშენებლობა მხოლოდ ბიზნესი და ფულის კეთება არ უნდა იყოს, ის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ქალაქის ხასიათთან და არქიტექტურასთან, – განაცხადა თემურ ჭყონიამ.

# ირაკლი გილაურმა „საქართველოს ბანკი“ დატოვა



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

BGEO-ს გაყოფის ფარგლებში, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებები უკვე ოფიციალურად დარეგისტრირდა. ირაკლი გილაური საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში 2015 წლის სექტემბრიდან გადავიდა, მანამდე, 2006 წლის მაისიდან 2015 წლის სექტემბრამდე, ირაკლის ეკავა „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის პოსტი.

7-წევრიან საბჭოში შედიან: თავმჯდომარის მოადგილე ნილ ჯანინი, ასევე წევრები დევიდ ფიელდინგი მორისონი, ჰანნა ლოიკანენი, ჯონათან ვილიამ მუირი, კიმ კრისტოფერ ბრედლი, თამაზ გიორგაძე, ალასდაირ პოლ მაკენზი ბრიჩი.

საქართველოს უმსხვილესი საბანკო-საინვესტიციო ჰოლდინგის გაყოფა 2018 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

გაყოფა მოხდება ყველა დონეზე – საბანკო და საინვესტიციო მიმართულებას დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭო ეყოლება, რომლებსაც ერთმანეთთან არავითარი კვეთა არ ექნებათ და აქციონერებიც ამ მიმართულებით გაიყოფიან.

გაყოფის შემდეგ ერთი კომპანია საბანკო („საქართველოს ბანკის ჯგუფი“ – Bank of Georgia Group), ხოლო მეორე – საინვესტიციო ბიზნესის („საქართველოს კაპიტალი“ – Georgia Capital) მიმართულებით იმუშავებენ. პროცესის დასრულების შემდგომ, დამოუკიდებლად, ორივე კომპანიის აქციები განთავსებული იქნება ლონდონის საფონდო ბირჟაზე. შესაბამისად, ლონდონის საფონდო ბირჟაზე „ბიჯეო ჯგუფიდან“ უკვე სამი კომპანია იქნება წარმოდგენილი.

# გახშირებულ სახანძრო სიტუაციებთან დაკავშირებით კომპანია „ვეზირი“ განცხადებას ავრცელებს

ბოლო დროს გახშირებულ სახანძრო სიტუაციებთან დაკავშირებით, ტელეკომუნიკაციისა და უსაფრთხოების სისტემების ინტეგრატორი კომპანია „ვეზირის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ცაავამ განცხადება გააკეთა. ის მწუხარებას გამოთქვამს ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო და ბაზარზე ოპერირების 20-წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, ორგანიზაციების დაბალ პასუხისმგებლობაზე საუბრობს.

ევაკუაციის სისტემას, სხვადასხვა ტიპის ხანძარქრობის მოწყობილობებს და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ ეს სისტემები სწორად იყოს ინტეგრირებული შენობა-ნაგებობის ვენტილაცია-კონდიცირებასთან, ლიფტებთან და ენერგომომარაგებასთან. სისტემების დაგეგმარება/დიზაინი, ინსტალაცია, შემოწმება, გამოყენება და მომსახურება უნდა განხორციელდეს სტანდარტების სრული დაცვით. ყველა გამოყენებული მოწყობილობა თუ პროდუქტი უნდა იყოს სერტიფიცირებული შესაბამისი სტანდარტებისა და მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ.

VEZIRI
TELECOMMUNICATION AND SECURITY SOLUTIONS

– ძირითადად შეხება 3 ტიპის ორგანიზაციასთან გვაქვს: პირველი ტიპი, ეს არის შენობა-ნაგებობის მფლობელების კატეგორია, რომლებიც ვერ აცნობიერებენ რისკს და, შესაბამისად, არ ზრუნავენ უსაფრთხოების საკითხებზე. მეორე კატეგორია, ვინც კანონმდებლობის შიშით ან მოვალეობის მოხდის მიზნით აინსტალირებს გარკვეული ტიპის მოწყობილობებს, თუმცა ხარისხზე მეტად ეკონომიაზე ფიქრობს და ყურადღებას არ აქცევს, თუ რა სისტემებთან აქვს საქმე. ამასთან, არ ზრუნავს ამ სისტემის ტექნიკურ გამართულობაზე.

მესამე ტიპი, რომელსაც კარგად ესმის პასუხისმგებლობა და ითხოვს სტანდარტების სრულ დაცვას, აქ ძირითადად საერთაშორისო კომპანიებს ვგულისხმობ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ორგანიზაციების მხრიდანაც ამ საკითხის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება, – აცხადებს ცაავა.

კომპანია „ვეზირი“-ს განმარტებით, უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის მიზნით შენობა-ნაგებობები აღჭურვილი უნდა იყოს კომპლექსური სიცოცხლის უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მოიცავს: ხანძრის დეტექციას, განგაშის შეტყობინებისა და

„ვეზირის“ გენერალური დირექტორის თქმით, კომპანიის წარმომადგენლები ხშირად ხვდებიან ზემოთ თქმული სტანდარტების უხეში დარღვევის ფაქტებს.

ცაავას განცხადებით, სიტუაციის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ნაგებობების თუ ბიზნესერთეულების მფლობელებმა კარგად გაიაზრონ მათ წინაშე არსებული პასუხისმგებლობა, რადგან საკითხი არა მხოლოდ მატერიალურ აქტივებს, არამედ ხშირ შემთხვევაში შეუფასებელ რესურსს – ადამიანის სიცოცხლეს ეხება.

– მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები უფრო მეტად გამკაცრდეს და, რაც მთავარია, გაკონტროლდეს. ასევე, მიგვაჩნია, რომ ინტეგრატორი კომპანიებისთვის უნდა არსებობდეს აკრედიტაცია/ლიცენზირება. დღეს ყველა „კვალიფიციურობას“ იბრალებს. სტანდარტების უცოდინარობამ და ინსტალაციის დროს მცირე უზუსტობამ კი შესაძლოა საკმაოდ მძიმე ვითარება გამოიწვიოს, – აცხადებს გიორგი ცაავა.

დასაწყისი მე-5 გვერდზე

# რა გამოწვევების წინაშეა ბიზნესი

როა ამ ნაწილის გაძლიერება და ჩვენი, ბიზნესომბუდსმენის აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტი მცირე ბიზნესისთვის აქტუალური თემატური თუ ტექნიკური საკითხების უფრო მეტად წარმოჩენაა. სხვადასხვა სექტორულ ბიზნეს გაერთიანებებთან ვმსჯელობთ სექტორისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გააქტიურებაზე.

სხვა პრობლემატიკის კუთხით მცირე ბიზნესს აქვს ნაკლები რესურსი უფრო კვალიფიციური პერსონალისთვის, შედარებით ნაკლები წვდომა ფინანსურ რესურსებზე. უფრო მგრძნობიარეა ეკონომიკაში არსებული რყევების მიმართ – ვფიქრობ, საჭიროა უფრო მეტი შეღავათი, რომ უფრო მეტი რესურსი დარჩეთ განვითარებისთვის, ძალიან კარგია პრემიერის ინიციატივით მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებული პროექტის ინიცირება, სადაც 5-ჯერ იზრდება ბრუნვის მოცულობა, 5-ჯერ მცირდება განაკვეთი და მარტივდება ტექნიკური პროცედურები. ამ მართლაც მნიშვნელოვანი პროექტის ინიცირების შემდეგ კარგი იქნება მომდევნო ეტაპზე განხილული იქნას დღგ-ს ზღვრის აწევა, რომელიც დღეს 100 ათასი ლარია.

***– ფაქტია, რომ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი აყალიბებს ამა თუ იმ ქვეყნის ბიუჯეტებს. მათი წილი სხვადასხვა ქვეყნების ბიუჯეტებში საკმაოდ წონადი და მნიშვნელოვანია. ზოგ შემთხვევაში ეს მონაცემი 40%-ია, უმეტეს შემთხვევაში – 50-60%-ც კი. თქვენი ინფორმაციით, ჩვენთან მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ბიუჯეტში დაახლოებით რამდენია? და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველო ამ მაჩვენებლითაც მიუახლოვდეს ევროპულ და ამერიკულ მაჩვენებელს?***

– როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში ფინანსური შემოსავლების ძირითად წილს ეკონომიკაში და ბიუჯეტში აგენერირებს მსხვილი ბიზნესი, მცირე და საშუალო ბიზნესს კი აქვს მთავარი დამსაქმებლის ფუნქცია, განსაკუთრებით რეგიონების განვითარების კუთხით.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესზე ბრუნვის და გამოშვებული პროდუქციის დაახლოებით 58%, დასაქმებაში კი 65% მოდის. ასევე სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბრუნვის და დასაქმების მიხედვით მცირე და საშუალო ბიზნესის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია თბილისში, თითქმის 70%, და რეგიონებში ეს სექტორი სუსტად არის წარმოდგენილი.

დღეს ქვეყანაში არსებობს საკმაოდ კარგი სახელმწიფო პროგრამები რეგიონალური ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით და საჭიროა ამ კუთხით უფრო მეტი ჩართულობა.

***– მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი ბიზნესის მდგომარეობა ბევრად განსხვავდება მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებისაგან, მათ ნაკლებად აქვთ ფინანსური პრობლემები და ისინი მათივე ბიზნესის მასშტაბების გაზრდაზე უფრო ფიქრობენ, შეუძლებელია, პრობლემები მათაც არ ჰქონდეთ. რა სახის პრობლემები აქვთ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს?***

– მთლიანობაში, ქვეყნის ბიზნესგარემო ბიზნესის მხრიდან ფასდება პოზიტიურად, თუმცა ბიზნესის წარმოების პროცესში არის რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს მეტ ყურადღებას ან მეტ განვითარებას.

ჩვენს შეხვედრებზე ძირითადად ამ მიმართულებით გვაქვს აქტიური განხილვები. კერძოდ, ეს უკავშირდება სასამართლოებში ბიზნესდავებთან დაკავშირებულ საკითხებს, მთავარი შენიშვნები უკავშირდება გაჭიანურებულ დავებს, რომელიც გამოწვეულია საქმეების რაოდენობით და დავების სპეციფიკით, რომელსაც შესაბამისი გამოცდილება სჭირდება.

ასევე ბიზნესისთვის მთავარ საკითხებს შორის არის უფრო მეტი გარკვეულობა და სიცხადე რიგ საკანონმდებლო ინიციატივებში თუ ცვლილებებში, რადგან არის შემთხვევები, როცა ხშირად ეს ხდება სწრაფად და ბიზნესს სჭირდება უფრო მეტი დრო მომზადებისა და ადაპტირებისთვის, საქმიანობაზე ზეგავლენის ანალიზისთვის. არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული ტიპის ინიციატივებს საფუძვლად აქვს უფრო პოლიტიკური დატვირთვა, ვიდრე რაციონალური ანალიზი, ამის მაგალითია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონპროექტი, სადაც აქცენტი გადატანილია მაღალ საჯარიმო სანქციებსა და რეგულაციებზე.

შემიძლია ასევე, მაგალითად მოვიყვანო უცხოელებისთვის მიწის მიყიდვასთან დაკავშირებული თემა, სადაც ჯერ კიდევ რჩება გაურკვევლობა და ბიზნესი არ არის სრულყოფილად ინფორმირებული, თუ რა ფორმით ჩამოყალიბდება მიწის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

ვფიქრობ, საჭიროა კიდევ უფრო გამარტივება რიგი ადმინისტრაციული თუ საგადასახადო პროცედურების, ამის რესურსი არსებობს და ბიზნესს გააჩნია ამ კუთხით რეკომენდაციები.



გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია გადაწყვეტილებების მიღებისას სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ხდება გაჭიანურება ამ კუთხით ან შუალედური და ზოგადი პასუხების წარმოდგენა, რაც უფრო მეტი დროის ხარჯვასთან არის დაკავშირებული.

***– გასაგებია, რომ არსებობს ბუნებრივი მონოპოლიები. იგი ენერგომატარებლების შემომტან კომპანიებს ეხება, მაგრამ ისეთ სფეროებში, სადაც ბუნებრივ მონოპოლიებზე საუბარი შეუძლებელია რა ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება, რომ ქართულმა ბაზარმა კონკურენტუნარიანობა არ დაკარგოს?***

– ქვეყანაში არსებობს კონკურენციის სააგენტო, რომელსაც აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციები, სხვადასხვა ბაზრებზე შეფასებული იქნას კონკურენციის ხარისხი, ნებისმიერი კომპანია, რომელიც თვლის, რომ ბაზარზე რაიმე არაკეთილსინდისიერ ქმედებას აქვს ადგილი, შეუძლია სააგენტოში წარადგინოს პრეტენზია. ბუნებრივი მონოპოლიები რეგულირებადი სფეროა, რეგულაცია კი მარეგულირებელი კომისიების საშუალებით ხდება ისეთ სექტორებში, როგორიცაა – ენერგეტიკა, წყლის ინდუსტრია, ბუნებრივი აირის მიწოდება და კომუნიკაციები.

***– ხშირად გვესმის, რომ საქართველოში საინვესტიციო გარემო გაუმჯობესდა, სხვადასხვა სფეროებში უცხოელი ინვესტორები დებენ ფულს. საკმაოდ მასშტაბური პროექტების განხორციელებაში საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობენ, რაც თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლებად გვესმის ქართველი ბიზნესმენების მიერ წარმოებაში ფინანსების ჩადების შესახებ.***

ასეა, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, რომლებსაც მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი აქვს, ელექტროენერგიის ტარიფი დაბალია და წარმოების გამართვის შემთხვევაში გადასახადებიც დაბალია, წარმოებების დაფუძნების, ხალხის დასაქმების შესახებ ნაკლებად ვრცელდება ინფორმაცია.

– თუ ჩვენ არასაკმარისად ვართ ინფორმირებული, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა რეგიონებში გააქტიურებულ ბიზნესზე მეტი ინფორმაცია მოგვაწოდოთ...

***– რეგიონებში ხდება მსხვილი ბიზნესპროექტების განვითარება, განსაკუთრებით ენერგეტიკის, ტრანსპორტის და კომუნიკაციების სექტორში.***

ასევე მზარდია დამამუშავებელი მრეწველობის და ტურისტული ინდუსტრიის წილიც. ვფიქრობ, საჭიროა უფრო მეტი განათლება მეწარმეობის კუთხით და რეგიონში მცხოვრები ადამიანები უკეთ შეძლებენ არსებული შესაძლებლობების გამოყენებას.

– ბიზნესის სფეროში საქმიანობა კიდევ უფრო წარმატებული რომ იყოს, საჭიროა კანონმდებლობა მაქსიმალურად იყოს მორგებული რეალობას. თქვენ, როგორც ბიზნესომბუდსმენი, თუ გეგმავთ მმართველ გუნდს შესთავაზოთ რამე ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც ბიზნესმენების საქმიანობას წაადგებოდა? თუ – კი, კერძოდ, რაზე შეიძლება დღეს ისაუბროთ.

– ჩვენი შეხვედრები ბიზნესსექტორთან გრძელდება აქტიურ რეჟიმში და ამ შეხვედრების მიზანი სწორედ არის ისეთი საკითხების თუ ინიციატივების გამოვლენა, რომელიც რაციონალური და მნიშვნელოვანი იქნება ბიზნესისთვის, მისი წარდგენა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსთვის.

ასეთი შეიძლება იყოს სექტორისთვის საჭირო თემატური საკითხის ინიცირება ან რამე ტექნიკური ცვლილება, რომელიც გაამარტივებს ბიზნესწარმოების პროცესს. ჩვენ ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ და საკითხის მომზადების შემთხვევაში აუცილებლად გავაჟღერებთ.

# 70-ე სკოლის მოსწავლეებს მინის კონსტრუქცია დაეცა. 14 წლის ასლან მამედოვი დაიღუპა

## სისხლიანი ტრაგედია ბარათაშვილის ქუჩაზე





გუშინ, 28 თებერვალს, თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე, ტრაგედია დატრიალდა.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შენობის გარე ფასადიდან მოულოდნელად მინის კონსტრუქცია ჩამოვარდა და იქ მდგომ 70-ე სკოლის მოსწავლეთა ჯგუფს დაეცა.

მინის ჩამოვარდნის შედეგად 6 მოზარდი დაშავდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა 3 მათგანი ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანა, ხოლო კიდევ 3 – „ამტელ ჰოსპიტალში“.

დაშავებულთაგან ერთის, 14 წლის ასლან მამედოვის, მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს და მოზარდი გარდაიცვალა.

როგორც ექიმმა გიორგი ხარჭილავამ განაცხადა, მოზარდს შეყვანისთანავე სიცოცხლისთვის შეუთავსებელი მდგომარეობა ჰქონდა, გული რამდენჯერმე გაუჩერდა და ოპერაციის გაკეთება ვერ მოხერხდა.

– შემოყვანისთანავე პაციენტს ჰქონდა სიცოცხლისთვის შეუთავსებელი მდგომარეობა, ოპერაციის დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან ადგილი ჰქონდა რამდენჯერმე გულის გაჩერებას. მოხერხდა აღდგენა, მაგრამ პაციენტი გარდაიცვალა ტრავმული შოკით სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანების გამო, – განაცხადა ექიმმა გიორგი ხარჭილავამ.

მოგვიანებით „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ სპეციალური განცხადება გაავრცელა:

„დღეს, დაახლოებით დღის 15:30 საათზე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შენობის გარე ფასადიდან ჩამოვარდა მინის კონსტრუქციის ნაწილი, რის შედეგადაც დაშავდნენ მოზარდები, რომლებიც მომხდარისთანავე გადაიყვანეს საავადმყოფოში. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანი, ასლან მამედოვი, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ჩვენ სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილი მოზარდის ოჯახს და ახლობლებს. სიტყვები უძლურია ამ უდიდესი ტრაგედიის და ტკივილის გამოსახატად. ამ მძიმე წუთებში ვდგავართ ოჯახის გვერდით. უსაფრთხოების მიზნით, შემთხვევის ადგილის პერიმეტრი შემოღობილია. შენობის მოსაპირკეთებელი სამუშაოები განხორციელდა 2008 წელს და ამჟამად არანაირი სარემონტო სამუშაოები არც ფასადზე და არც შენობაში არ მიმდინარეობდა. მიზეზების დასადგენად სამხარაულის ექსპერტიზა აწარმოებს მოკვლევას. მომხდარზე დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. ვთანამშრომლობთ სამართალდამცავ სტრუქტურებთან და ველოდებით გამოძიების შედეგებს“.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# „ოჯახს მხოლოდ ეს ორი შვილი ჰყავდა, სიჩქარის მაჩვენებელი 160 კმ/წთ-ზე იყო გაჭედილიო“

## საზარელი ავარია მოხისთან, რომელსაც ძმების და მათი მამიდაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა



გუშინ, 28 თებერვალს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხისთან შემზარავი ავტოკატასტროფა მოხდა – სოფლის სიახლოვეს მდებარე ტაშისკარის არხში „ოპელის“ მარკის ავტომანქანა გადავარდა, რომელშიც ხუთი ახალგაზრდა იჯდა.

მათგან სამი – ხაშურში მცხოვრები ძმები – 21 წლის რომიკო და 19 წლის რატი გრიგალაშვილები და სოფელ ნაცარგორაში მცხოვრები, მათი 27 წლის მამიდაშვილი, რატი სულაქველიძე ადგილზევე დაიღუპნენ.

საბედნიეროდ, გადარჩნენ ასევე სოფელ ნაცარგორაში მცხოვრები, გარდაცვლილი რატი სულაქველიძის ძმა, უჩა; მათივე მეზობელი და ახლობელი მალხაზ გრიგალაშვილი. მომხდარზე საქმე 276-ე მუხლით არის აღძრული, რაც ავტომანქანის ექსპლუატაციისას გაუფრთხილებლობით ორი ან მეტი ადამიანის დაღუპვას გულისხმობს.

გვესაუბრება სოფელ მოხისის მკვიდრი:

– გარდაცვლილი ახალგაზრდები ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაცარგორიდან არიან, თუმცა ძმები გრიგალაშვილების ოჯახი ამჟამად ხაშურში ცხოვრობს. გარდაცვლილთაგან უფროსი 27 წლის არის; განა ეს რა ასაკია, – კაცი ახლა იწყებდა ცხოვრებას ძმების ოჯახი ხომ საერთოდ განადგურდა, – ენითაუწერელი უბედურება ტრიალებს. ამ ოჯახს მხოლოდ ეს ორი შვილი ჰყავდა და უბრალოდ, არ ვიცი, აწი როგორ უნდა იცხოვრონ

– როგორ დატრიალდა ეს უბედურება?

– ხაშურელი ბიჭები ჩამოვიდნენ ავტომანქანით სტუმრად ნაცარგორაში ნათესავებთან; მე როგორც ვიცი, ბიჭებმა მოილხინეს, გაერთნენ და მერე ხაშურში წასვლა გადაწყვიტეს. ოჯახი, ცხადია, არ უშვებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ოჯახს არავინ მოუსმინა. დაახლოებით ღამის 2 საათზე მასპინძლებიც ჩასხდნენ მანქანაში და ერთად დაიძრნენ ხაშურისაკენ. ამ ასაკში ხომ ყველას ჰგონია, რომ ვერაფერი ვერასოდეს მოერევა. როგორც ჩანს, სიჩქარეს გადააჭარბეს. ამბობენ, პოლიციამ ნაავარიევი მანქანა რომ ამოიღო არხიდან, სიჩქარის მაჩვენებელი 160 კმ/წთ-ზე იყო გაჭედილიო. ამ სიჩქარით ხიდზე გადავლა რანაირად შეიძლება?!

– ხაშურისკენ მიმავალი ხალხი შემოვლით გზაზე როგორ აღმოჩნდა, წესით, ტაშისკარის არხთარ არ უნდა მოხვედრილიყვნენ.

– როგორ არა. ალბათ სოფლიდან შემოვლითი გზით იმიტომ წამოვიდნენ, რომ ამ გზის რაღაც ნაწილი მოასფალტებულია. როგორც ჩანს, ასფალტიანი გზა რომ მორჩა, სიჩქარე არ შეანელეს. ხიდზე ძალიან დიდი სისწრაფით გადავლისას მანქანამ გეზი დაკარგა, ხიდის მოაჯირი გაანგრია და არხში ჩავარდა.

– არხი ისეთი ღრმაა, რომ შიგ მოზრდილი ადამიანი დაიხრჩოს?

– დაახლოებით 2 მეტრი სიღრმის არის. დინებაც ძლიერი აქვს, – ეს მანქანა წყალს ჩავარდნის ადგილიდან დახლოებით 200 მეტრით ჰქონდა დაძრული. ეტყობა, ბიჭებმა უკვე მაშინ დაკარგეს გონი, როცა ხიდის მოაჯირი გაიტანეს. მათგან ორი, საბედნიეროდ, იმიტომ გადარჩა, რომ არხში ჩავარდნამდე მანქანიდან გადმოცვივდნენ. ეს მათი იღბალი იყო.

ეთერ ერაძე, სპეციალურად „კვირის პალიტრის“ საიტისთვის

# კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა ბაქრაძე თბილისის აეროპორტში დააკავეს

ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე ბრალდებული, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა (ზურაბ) ბაქრაძე, რომელიც ამ დრომდე მიმალვაში იმყოფებოდა, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, აეროპორტში დააკავეს. აღნიშნულის შესახებ განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროში, რამდენიმე წუთის წინ გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.

როგორც სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 2013 წლიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი საქართველოს მოქალაქე, 1969 წელს დაბადებული ზაზა ბაქრაძე თბილისის საერაშორისო აეროპორტში დააკავეს. ის ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობის საქმეში ერთ-ერთი ბრალდებულია.– გამოძიებამ დაადგინა, რომ 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, წერეთლის გამზირზე მომხდარი შემთხვევის დროს, ზაზა ბაქრაძემ, სხვა პირებთან ერთად, დანაშაულის დაფარვის მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო




მასალა შემთხვევის ადგილზე მიიტანა.

2004 წელს ზაზა ბაქრაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას იკავებდა – იგი თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი იყო.

ზაზა ბაქრაძეს, ჩადენილი დანაშაულის გამო, 2013 წლის 7 თებერვალს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, რის საფუძველზეც, მასზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა. დაკავებულს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვას და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, – განაცხადა ჭელიძემ.

ბაქრაძე, რომელიც წლებია მიმალვაში იმყოფებოდა, საქართველოში ჩვენების მისაცემად რამდენიმე საათის წინ დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ ზაზა (ზურაბ) ბაქრაძემ რამდენიმე კვირის წინ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის თემაში“ რობაქიძის საქმეზე მისთვის წარდგენილი ბრალი აღიარა და საქმის გაყალბების დეტალებზე ისაუბრა.

**ინტერპრესნიუსი**

# ზეგაანის ღვინის ქარხნის ოქრო და ზანგაურას ღვინის ქარხნის ვერცხლი

**ზეგაანის ღ.ქ.-ის (ტატულაშვილების ოჯახი) საფერავმა-2016 წ. ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო ზანგაურას ღ.ქ.-ის საფერავმა 2016 წ. ვერცხლის მედალი BLACK SEA REGION WINES& SPIRITSCONTES 2018 კიშინიოვში OIV-ის ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო დეგუსტაციაზე.**

**დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო რეკორდული რაოდენობა, 460 ღვინოების და სპირტიანი სასმელების ნიმუშების 12 ქვეყნიდან. დეგუსტატორები მოწვეულები იყვნენ 17 ქვეყნიდან.**

**დასანანია ჩვენი მეწარმეების ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ჩვენი ტრადიციული ბაზრების მიმართ. ამჟამად ამ დეგუსტაციაზე საქართველოდან მხოლოდ შვიდი ნიმუში იყო წარდგენილი. ამ OIV -ის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო დეგუსტაციის შედეგები ფართოდ ვრცელდება მოწვეული დეგუსტატორებისა და ჟურნალისტების მხრიდან სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც ტრადიციულად ჩვენი მეღვინეობის პროდუქცია ვრცელდება და მოწონება გააჩნია.**




**მურმან ქურიძე**
**საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის წევრი**

# ახმეტაში 70 წლის მამაკაცი მოკლული იპოვეს



ახმეტის რაიონის სოფელ მატანში 70 წლის მამაკაცი მოკლული იპოვეს, მას ცივი იარაღით ჭრილობა ყელის არეში აქვს მიყენებული. მკვლელობა, სავარაუდოდ, 27 თებერვალს მოხდა. მოკლული მამაკაცის სახლში მთელი ღამის განმავლობაში კრიმინალისტები მუშაობდნენ. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

საქმეზე გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# ამერიკელი ექსპერტები: „მსოფლიო ახალ გეოპოლიტიკურ ფაზაში შევიდა“

## რა საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს ჩინეთი და ირანი

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკელი ექსპერტების დასკვნით, მსოფლიო ახალ გეოპოლიტიკურ ფაზაში შევიდა. ეს ეტაპი განსხვავდება ცივი ომის შემდგომი პერიოდისაგან. ამის თქმის საფუძველს იძლევა ჩინეთში მიმდინარე პროცესები.

ჩინეთის კონსტიტუციიდან ამოიღეს ის მუხლი, რომელიც ქვეყნის პირველი პირების ხელისუფლებაში ყოფნას ორი ვადით განსაზღვრავდა. ამიერიდან მათი ძალაუფლების ვადა განუსაზღვრელი გახდა. უზარმაზარ ჩინეთს, ანუ პოლიციურ სახელმწიფოს, სათავეში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ეყოლება ერთი პირი, რომლის რეჟიმსაც წვდომა ექნება საკუთარი მოქალაქეების ნებისმიერ მონაცემზე.

ეს, ანალიტიკოსების თქმით, სერიოზულ გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოზე. ამგვარი პროცესები ეწინააღმდეგება ლიბერალურ გლობალიზაციას.

ცივი ომის შემდგომ ეპოქაში აშშ-ის ყოფილი მტრები გადაიქცნენ განვითარებად ბაზრებად. მათ შორის იყო ჩინეთი. კაპიტალიზმის დანერგვა და დასავლური ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში გულისხმობდა დემოკრატიის გავრცელებასაც. ამ ქვეყნებში მკვიდრდებოდა დასავლური ეკონომიკური მოდელი.

დღეს ანალიტიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმის გაფართოებას არ მოუტანია დემოკრატიის გაფართოება. ერთმა მილიარდმა ჩინელმა თავი დააღწია სიღარიბეს, მაგრამ დემოკრატიის მხრივ გაუარესებაა – ეკონომიკურად მომძლავრებული ჩინეთი ამკვიდრებს ტოტალიტარიზმის ახალ ფორმას, რაც გეოპოლიტიკურ ცვლილებებს იწვევს.

ჩინეთი, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, აღიარებულია აშშ-ის მთავარ მოწინააღმდეგედ.

რუსეთსა და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად საფრთხედ მიჩნეულია ირანი.

ირანთან წამყვანმა სახელმწიფოებმა 2015 წელს დადეს ბირთვული შეთანხმება. მისი მიზანი იყო ირანის ბირთვული პროგრამის რეალიზაციის შეკავება.

ანალიტიკოსების შეფასებით, ამ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ თეირანს არ შეუცვლია თავისი აგრესიული და მადესტაბილიზებელი პოლიტიკა რეგიონში. ბირთვულ პროგრამაზე უარის გარდა, ირანს საგარეო პოლიტიკაც უნდა გამოესწორებინა. დღეს ირანს სანქციების მოხსნის შემდეგ აქვს წვდომა ნაღდ ფულზე, რასაც დესტაბილიზაციისთვის იყენებს. ირანს აღარ აშინებს ბირთვული გარიგების ლიკვიდაცია.

აშშ-ის დღევანდელმა პრეზიდენტმა ამ შეთანხმების სერტიფიცირებაზე უარი განაცხადა. ტრამპის განცხადებით, ირანი ამ შეთანხმებას არღვევს, როცა არ უშვებს თავის ბირთვულ და სამხედრო ობიექტებზე საერთაშორისო ინსპექტორებს. მან მოკავშირეებს ვადა მისცა.



თეთრ სახლს ირანისთვის სანქციების გაფართოება სურს. ვაშინგტონი ასევე მოითხოვს თეირანისათვის ბირთვული შეზღუდვების განუსაზღვრელი ვადით დაწესებას და სარაკეტო პროგრამების აკრძალვას.

თუ ევროპული სახელმწიფოები აშშ-ის ადმინისტრაციის ამ წინადადებებს გაიზიარებენ, ვაშინგტონი ირანის ბირთვული შეთანხმებიდან კიდევ დაახლოებით ორი წლის განმავლობაში არ გამოვა.

უთანხმოების შემთხვევაში, აშშ ბირთვული გარიგებიდან გამოვა. შემაკავებელი ბირთვული შეთანხმების გარეშე ირანი ჩრდილოეთ კორეაზე ბევრად უფრო საშიშ ბირთვულ სახელმწიფოდ გადაიქცევა.

## აშშ-უკრაინა: თანამშრომლობა ფართოვდება



აშშ-ის სენატში შეტანილია კანონპროექტი უკრაინისთვის კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში დახმარების შესახებ.

კანონპროექტი მოამზადეს როგორც დემოკრატებმა, ისე რესპუბლიკელებმა.

– უკრაინა ამერიკის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია! ამაში როგორც დემოკრატები, ის რესპუბლიკელები ერთსულოვანნი არიან, – აცხადებს უკრაინის ელჩი აშშ-ში ჩალიი.

კანონპროექტის ერთ-ერთმა თანაავტორმა, დემოკრატმა კლობუნარმა განაცხადა, რომ აშშ დაეხმარება უკრაინას რუსულ საინფორმაციო სივრციდან გამოსვლასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში.

## ეგვიპტეში 2 სამგზავრო მატარებელი ერთმანეთს შეეჯახა – 19 ადამიანი დაიღუპა



ეგვიპტეში, ბეჰეირას პროვინციაში, ორი სამგზავრო მატარებლის შეჯახების შედეგად სულ მცირე 19 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ადგილობრივი ტელევიზია ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება.

დაშავებულთა რაოდენობა 38-ს აღწევს.

შეჯახება აბუ-ელ-ხავის სადგურზე მოხდა.

ადგილზე სამაშველო ბრიგადები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების 13 ეკიპაჟი მუშაობდა.

## სროლა ყაზანში



ყაზანში სისხლიანი ინციდენტი მოხდა. ვინმე „ნ“-მ, რომლის გვარი არ სახელდება, ალექსანდროვის ქუჩაზე სროლა ატეხა. მცხოვრებლებმა პოლიცია გამოიძახეს, თუმცა ამან საქმეს არ უშველა. პოლიციისა და გვარდიის მებრძოლთა დანახვაზე „ნ“-მ მათ ცეცხლი გაუხსნა.

გვარდიის ერთ-ერთი მებრძოლი მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა.

თავად „ნ“ პოლიციას არ დანებდა და უკანასკნელი ტყვია შუბლში დაიხალა.

ინციდენტი ყოფით ნიადაგზე მოხდა. „ნ“ ქრონიკული ალკოჰოლიკი იყო. ცოლს სისტემატურად სცემდა. ქალმაც პოლიციაში უჩივლა. „ნ“ ხულიგნობისთვის 10 დღით დააკავეს.

სასჯელის მოხდის შემდეგ „ნ“-მ ცოლთან ანგარიშის გასწორება გადაწყვიტა. ქალი ძმასთან გაიქცა. მაშინ „ნ“-მ სანადირო თოფს ხელი დაავლო და ცოლისძმის სახლში მივიდა.

სისხლიანი სპექტაკლის დასკვნითი აქტიც იქ გაიმართა.

## პუტინის ბიძაშვილი იგორ პუტინი ესტონეთში ფულს ათეთრებდა



რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბიძაშვილი იგორ პუტინი, სავარაუდოდ, ფულს ათეთრებდა, ამისთვის კი, ესტონეთში უდიდესი დანიური ბანკის დანსკე ბანკის ფილიალს იყენებდა.

ამის შესახებ იუწყება დანიური პრესა.

ბანკის ესტონური განყოფილება თანამშრომლობს კომპანიასთან, რომელიც ასევე ეკუთვნის „პუტინის ოჯახსა და ფსბ-ს“ და უკვე ჩაატარა საეჭვო ოპერაციების ნაწილი.

ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, იგორ პუტინი ფულს ათეთრებდა ფირმა ლანტანა ტრეიდის გამოყენებით.

დანსკე ბანკის ესტონურმა განყოფილებამ დაადგინა, რომ ლანტანა ტრეიდის მფლობელები რამდენიმე რუსულ საფინანსო დაწესებულებასთან, მათ შორის „პრომსბერბანკთან“ არიან კავშირში, რომელსაც ლიცენზია 2015 წელს ჩამოართვეს. ამავე წელს მოხდა „პრომსბერბანკის“ ლიკვიდირება.

იგორ პუტინი შედიოდა „პრომსბერბანკის“ დირექტორთა საბჭოში ალექსეი კულიკოვოსთან და ალექსანდ გრიგორიევთან ერთად. სამივე მონაწილეობდა დანაშაულებრივ გარიგებაში დოიჩე მოსკოვის განყოფილებაში, სადაც დაიგეგმა დანაშაულებრივი სქემა 10 მილიარდი დოლარის ოდენობით.

2013 წელს დოიჩე ბანკმა დახურა ლანტანას ანგარიშები.

ბანკის ესტონურ განყოფილებასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.

## რუს დეპუტატ სლუცკის სექსუალურ ძალადობას აბრალებენ




რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან) და დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი სლუცკი სკანდალში გაეხვია. ტელეარხ „დოჟდის“ ჟურნალისტმა გოგონებმა მას სექსუალურ ძალადობაში დასდეს ბრალი.

– სლუცკიმ უხამსი წინადადება მოგვცა და უარის შემთხვევაში ფიზიკური ანგარიშსწორებით დაგვემუქრა, – განაცხადეს მათ.

ამ სიტყვებს დუმის ხელმძღვანელობის აგრესიული რეაქცია მოჰყვა. დუმის ვიცე– სპიკერმა ლებედევამ ჟურნალისტ გოგონებს ბრალად დასდო სამშობლოს ღალატი.

– თქვენ ამერიკის აგენტები ხართ და რუსეთის სახელის გამტეხ ჭორების გავრცელებას ცდილობთ! იძულებულნი ვართ სსბ-ს მივმართოთ, რათა თქვენი შემოწმება მოხდეს!

მიუხედავად ასეთი მუქარისა, ჟურნალისტებმა უკან არ დაიხიეს. „დოჟდის“ პირდაპირ ეთერში ჟურნალისტმა ეკატერინე ანტონოვამ ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ჟირინოვსკის ასეთი შეკითხვა დაუსვა:

– თქვენი პარტიის წევრი და დუმის დეპუტატი სლუცკი ჟურნალისტი გოგონების მიმართ ძალადობს. როგორია თქვენი, როგორც პარტიის ლიდერის, პოზიცია?

ჟირინოვსკი ასე პირდაპირ დასმულ შეკითხვას არ მოელოდა. ამიტომ ცოტათი დაიბნა.

– კეთილი, გავარკვევ ამ საქმეს და ყველაფერს მოგახსენებთ, – მიუგო მან.

თავად სლუცკი ბრალდებას უარყოფს და იმუქრება კიდეც.

– ჩემი და ჩემი პარტიის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო! იძულებული ვარ, ცილისმწამებლებს სასამართლოში ვუჩივლო, – აცხადებს დეპუტატი.

## ნაზარბაევმა მინისტრებს სხდომების რუსულ ენაზე ჩატარება აუკრძალა



ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა მინისტრთა კაბინეტის სხდომების რუსულ ენაზე ჩატარება აკრძალა.

– ყაზახეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მთავრობა ყაზახურ ენაზე უნდა საუბრობდეს, – თქვა მან.

ნაზარბაევმა ნახევრად ხუმრობით აღნიშნა, რომ უკრაინელები სლავურ რასას წარმოადგენენ, მაგრამ მათი მთავრობა ჯერ კიდევ 1991 წლიდან უკრაინულად საუბრობს. თვით რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი იანუკოვიჩის მმართველობის დროსაც, ნებისმიერი მინისტრი მოვალე იყო, მოხსენება უკრაინულად წაეკითხა და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრაო.

– ყაზახები სულ სხვა რასას წარმოვადგენთ. მიუხედავად ამისა, რუსულს უფრო ხშირად ვხმარობთ, ვიდრე ჩვენს მშობლიურ ყაზახურს. ასე არ შეიძლება, – ამბობს ნაზარბაევი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ეროვნული საფეხბურთო ლიგა სტარტისთვის ემზადება

**2 მარტს ქუთაისში, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე გაიხსნება საქართველოს ეროვნული ლიგის მორიგი ჩემპიონატი.**

როგორც გასულ წელს, მიმდინარე სეზონშიც 10 გუნდი შეეცდება ურთიერთობის გარკვევას. გამოვლინდებიან ჩემპიონი, პრიზიორები და ის გუნდები, რომლებიც დატოვებენ უმაღლეს ლიგას. ელიტიდან კი ერთი გუნდი აუცილებლად დაქვეითდება და ეს მე-10 ადგილოსანი იქნება, ხოლო 8-9 ადგილზე გასული გუნდები ეროვნული ლიგა 2-ის 2-3 ადგილოსანთან გაარკვევს შემდგომ ბედს.

კარგა ხანია ეროვნულ ჩემპიონატსა და გუნდებზე არაფერი გვითქვამს, ამიტომ უპრიანი იქნება თუ გაგაცნობთ გუნდებს, ვინც ამ სეზონში ეროვნულ ლიგა 1-ში ითამაშებს. როგორ მოემზადნენ, რა ტრანსფერები განახორციელეს და რა სავარაუდო მიზნები აქვთ.

## ლოკომოტივი თბილისი

ლოკომოტივმა 2017 წლის სეზონი მე-6 ადგილზე დაასრულა. არადა, გარკვეული დროის მანძილზე ლიდერთა შორის იმყოფებოდნენ, მაგრამ ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი ულიმლამოდ ჩაატარეს.

მე-6 ადგილს მთავარი მწვრთნელის გიორგი დევდარიანის გათავისუფლება მოჰყვა და ახალ სეზონში რკინიგზელებს ლაშა ჭალიაშვილი გაწვრთნის. 36 წლის სპეციალისტსა და კლუბს შორის ერთწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა. გარკვეული სამუშაო გამოცდილების შემდეგ 2016 წელს ლოკოს დუბლშემადგენლობას ჩაუდგა სათავეში და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 2016 წლიდან, ჟერარდ სარაგოსას, შემდეგ კი გიორგი დევდარიანის ასისტენტად მუშაობდა.

**ტრანსფერები**

კლუბში 2 მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, კლუბი დატოვა გუნდისა და ეროვნული ლიგის მთავარმა ბომბარდირმა ირაკლი სიხარულიძემ, რომელიც კარიერას ჩეხეთში გააგრძელებს. თუმცა, ჩანაცვლებაც არანაკლები გამოვიდა – ლოკომ ემპოლიდან რომან ჭანტურია ინათხოვრა. კლუბის ნამატი მცირეა დანაკლისთან შედარებით, თბილისური გუნდი დაახლოებით 10-მა ფეხბურთელმა დატოვა.

**კლუბიდან წავიდნენ:** გიორგი დიასამიძე, გიორგი რეხვიაშვილი, ბექა ქურდაძე (საბურთალო), გიორგი გოროზია (ჰიბერნიანსი), ლუკა ვარძელაშვილი (გაგრა), მამუკა კობახიძე (რუსთავი), ნოდარ ქავთარაძე (დილა), რევაზ ჩიტეიშვილი და ირაკლი ბუღრიძე (ჩიხურა), ირაკლი სიხარულიძე (სლოვაცკო).

**კლუბში მოვიდნენ:** რომან ჭანტურია (ემპოლი), თემურ შონია (დინამო ბთ), დავით ჯიქია (სამტრედია), ოთარ კობახიძე (შევარდენი), ზურაბ დავითაშვილი (დინამო თბ).

**შეკრება**

ლოკომოტივს შეკრება უცხოეთში არ გაუვლია და საქართველოში გამართა ამხანაგური მატჩები.

რკინიგზელებმა პირველ მატჩში საბურთალოს მე-2 გუნდი 3:0 დაამარცხეს. მომდევნო გამარჯვება შევარდენთან მოიპოვეს 2:0. ნორჩ დინამოსთან დაპირისპირება 1:1 დასრულდა. ასევე ფრე ითამაშეს ლიგა 2-ში მოასპარეზე ვიტ ჯორჯიასთან 1:1, სამაგიეროდ, გაანადგურეს გაგრა – 5:1. ეროვნული ლიგის გუნდს კი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ, ეს ახალწვეული ბოლნისის სიონი იყო და 2:0 დაამარცხეს.

**პროგნოზი**

ლოკომოტივი მიმდინარე სეზონში უფრო სუსტი ჩანს, მაგრამ ამ კლუბს კარგი აკადემია გააჩნია და არავინ იცის, როგორი თაობა წამოვა. ვნახოთ, რას იზამს ახალი მწვრთნელიც. ერთი შეხედვით კი ჩანს, რომ ცხრილის შუაგულში იტრიალებს, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დათმობს.

**სტადიონი**

ლოკომოტივი საშინაო მატჩებს მიხეილ მესხის სტადიონზე გამართავს.

## დილა გორი

ქართველებმა 2017 წლის სეზონი მე-7 ადგილზე დაასრულეს, მაგრამ მხოლოდ სეზონის დასკვნით ნაწილში მოახერხეს მდევრების ჩამოშორება და პლეი აუტის თავიდან აცილება.

დილას მთავარი მწვრთნელი ისევ გიორგი დარასელიაა, მაგრამ საწვრთნელ შტაბშიც სიახლეც არის – გიორგი შაშიაშვილი, რომელიც ბოლოს ქობულეთის შუქურას მთავარი მწვრთნელი გახლდათ, ახალი სეზონიდან მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იქნება.

**ტრანსფერები**

ბოლო წლებში დილას ლეგიონერები ბლომად ჰყავს. ამჯერადაც რამდენიმე მათგანი დაიმატეს. პირველ რიგში 23 წლის ჰოლანდიელი ალვინ ფორტესი უნდა გამოვყოთ, რომელიც ჩეხეთის ლიგის ბინადარ ბრნოდან გადაიბირეს.

რაც შეეხება სხვა ტრანსფერებს, კლუბმა ბევრი ფეხბურთელიც გაუშვა და ბევრიც დაიმატა.

კლუბიდან წავიდნენ: გივი ქარქუზაშვილი და დავით კირკიტაძე (სამტრედია), ნუბიო ფლავიო (ვილა ნოვა), მალხაზ გაგოშიძე (დინამო ბთ), მიხეილ მუჯრიშვილი (სიონი), გიორგი პაპავა (რუსთავი), თენგიზ წიქარიძე (ტორპედო), ირაკლი ძარია (კუკეში). პედრინიო, ანდრო სოფრომაძე, გილერმე მორასი, ჯეან დენეტი, გოგიტა გოგატიშვილი, ალიუ აბუბაქარი, ჰეიფორდ ადჟეი, ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, გიორგი ფოფხაძე და ოთარ კუსიანი.

**კლუბში მოვიდნენ:** ანზორ სუხიაშვილი (დინამო ბთ), ნოდარ ქავთარაძე (ლოკომოტივი), ჯემალ გოგიაშვილი, გურამ სამუშია, დავით რაჟამაშვილი (ყველა სამტრედია), გიორგი კორიფაძე (ჩიხურა), ალვინ ფორტესი (ბრნო), ამოს მონდი (კოლხეთი), მიკოლა კოვტალიუკი და გია ჩადუნელი (ორივე დინამო თბ).

**შეკრება**

დილამ თურქული შეკრება გაიარა. რამდენად ნაყოფიერი, ეს სეზონის განმავლობაში გამოჩნდება.

გორელები პირველ მატჩში უკრაინის პერშა ლიგის მე-5-ადგილოსან დესნასთან 0:1 დამარცხდნენ. ამაველიგელ ვოლინს 2:1 მოუგეს. უნგრეთის მე-2 ლიგის პირველადგილოსანი გუნდი მტკ კი, 5:0 გაანადგურეს. რუსეთის მე-2 ლიგის ბინადარ ორენბურგთან კი, 0:4 წააგეს.

**პროგნოზი**

გორელებიც ცხრილის შუაგულში იტრიალებენ. ამ შემადგენლობით ჯერ რამე ამბიციური ამოცანის დასახვა უტოპიური ჩანს. თუმცა, სეზონის მიმდინარეობისას შესაძლებელი იქნება გაძლიერდეს. მერე ვნახოთ...

**სტადიონი**

დილას სტადიონის პრობლემა არ აქვს, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი იდეალურ მდგომარეობაშია და საშინაო მატჩებსაც იქ ჩაატარებს.

## კოლხეთი ფოთი

ფოთელებს ეროვნულ ლიგაში პოზიციის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდათ, თუმცა პლეი-აუტში მარტვილის მერანს 2 მატჩის ჯამში აჯობა და ლიგაში დარჩა.

კოლხებს ახალ სეზონში რუსი კონსტანტინ გალკინი გაწვრთნის, რომელიც მანამდე რუსეთში ავარჯიშებდა ბევრ გუნდს: ჩელიაბინსკს, ორენბურგის გაზოვიკს, ნიჟნი ნოვგოროდის ვოლგას და ბოლოს დროს ამავე ქალაქის ოლიმპიეცს.

**ტრანსფერები**

კოლხეთი ფეხბურთელების უმეტესობამ დატოვა და ახალ სეზონს, ფაქტობრივად, ახალი გუნდით ხვდება. გუნდს საკმაოდ დიდი რაოდენობის რუსი ლეგიონერები შეუერთდნენ. მათი ძალა და თამაშის ხარისხი ეროვნული ლიგის მომავალ სეზონში გამოჩნდება. მათი დიდი ნაწილი ოლიმპიეციდანაა, რომელიც რუსეთის პირველი დივიზიონის მე-12-ადგილოსანი გუნდია.

**კლუბიდან წავიდნენ:** დავიდ ბოლქვაძე, თამაზ ჯიშკარიანი (ორივე მერანი), კოკა სეფიაშვილი (რუსთავი), გიორგი ბუხაიძე (ჩიხურა), გიორგი ჯანელიძე (დინამო ბთ), თამაზ შალიკაშვილი (ზუგდიდი), ალექსანდრე გურეშიძე (სიონი), ალექსანდრ დერებჩინსკი (ნეფთჩი), შოთა კერძევაძე (სამტრედია), ამოს ნონდი (დილა), იგორ ბროვკო.

**კლუბში მოვიდნენ:** ვაკო ტყემელაძე, გიორგი არქანია და ანდრეი პოლტავცევი (გურია), ვლადიმერ გრიბერაშვილი, ვლადიმერ მიხაილოვი, ვიქტორ კარპუხინი (ოლიმპიეცი), ზურაბ არზიანი, ბორის მახარაძე (დინამო ბთ), ალექსეი სოლოსინი (ანჟი), გიორგი ქურდაძე (გაგრა), სერგეი დანილოვი (სიზრანი), პეტერსონ კაბორე, გიგა ჭეიშვილი და ირაკლი ჩეჟია თავისუფალი აგენტის სტატუსით.



**შეკრება**

კლუბმა ორი კვირა ბელეკში დაჰყო და იქ 4 მეტოქეს დაუპირისპირდა. უნდა ითქვას, რომ ფოთელებს ერთ-ერთი საუკეთესო შეკრება ჰქონდათ ეროვნულ ლიგაში. მათი მეტოქეები ბევრად უფრო სახელოვანი გუნდები იყვნენ, ვიდრე სხვა ქართული კლუბების.

პირველი შეხვედრა უკრაინულ დნიპროსთან ჰქონდათ, რომელიც ფრედ, 1:1 დასრულდა. მეორე მეტოე ბელარუსული ბატე იყო. მეტოქის სიძლიერიდან გამომდინარე, კოლხეთი დამარცხდა – 0:2. შემდეგ კი ფოთელებმა უნგრულ კიშვარდას 3:1 მოუგეს, ხოლო ბოლო შეხვედრა ფოთელებმა მახაჩყალის ანჟისთან 1:4 დათმეს.

**პროგნოზი**

ფოთელთა შედეგი მომავალ სეზონში დამოკიდებული იქნება ლეგიონერების ხარისხზე. ვერ ვიტყვით, რომ კლუბს შესწევს ძალა მაღალი ადგილებისთვის იბრძოლოს, მაგრამ ლიგაში ადგილი უნდა შეინარჩუნონ და გასული სეზონის მსგავსად საქმე სახათაბალოდ არ გაიხადონ.

**სტადიონი**

კოლხეთისთვის, როგორც ეროვნული ლიგის ბევრი სხვა კლუბისთვის, პრობლემა საკუთარ მოედანზე თამაშია. ამ შემთხვევაშიც ფოთელებს ალტერნატიული გამოსავლის ძიება უწევთ.

როგორც ცნობილია, ფოთელები პირველ თამაშს მასპინძლის სტატუსით მე-2 ტურში საბურთალოსთან ზესტაფონში, დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე გამართავენ და სანამ ფოთში სტადიონის რეკონსტრუქცია დასრულდება, მანამდე იმერეთში იქნებიან მასპინძლები.

## რუსთავი

რუსთავმა 2017 წლის სეზონში ეროვნული ლიგა 2-ის მოგებით გაინაღდა ელიტის საგზური. ეროვნულ ლიგაში კი ახალ ცხოვრებას იწყებს – მოვიდა ახალი მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელები.

ქვემოქართლელებს მომავალ სეზონში ვლადიმირ გაზაევი გაწვრთნის. 37 წლის სპეციალისტი ცნობილია ვლადიკავკაზის ალანიაში და ყაზახურ აქტობეში მუშაობით.

**ტრანსფერები**

კლუბმა ძალიან ბევრი ფეხბურთელი გაუშვა, რომლებიც წინა წელს წარმატების მიღწევაში დაეხმარნენ, თუმცა იმდენი ფეხბურთელი დაიმატა, რომ 2 სეზონს ეყოფა. ამასთან, საკმაოდ ამბიციური და სადღეისოდ ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა შეკრიბა.

**ტრანსფერები:**

**კლუბიდან წავიდნენ:** გურამ მინდორაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი (ორივე სიონი), გიგა სამხარაძე, რატი ცაცკრიაშვილი (ორივე გაგრა), გიორგი ვასაძე (ვიტ ჯორჯია), ზვიად მეტრეველი (ცხინვალი), ნიკოლოზ აფაქიძე (სებაილი, აზერბაიჯანი), ირაკლი ქათამაძე (შუქურა), მიხეილ ალავიძე (დინამო ბთ). მირზა მერლანი, გიორგი გოცაძე, ერეკლე კილაძე, ირაკლი გოგინაშვილი, ზვიად ლობჟანიძე და გიორგი კილასონია კი, თავისუფალი აგენტები არიან.

**კლუბში მოვიდნენ:** მათე ცინცაძე (პოგონი), ოთარ მარცვალაძე, დავით კვირკველია, თემურ ჩოგაძე (ყველა დინამო ბთ), მამუკა კობახიძე (ლოკომოტივი), ლევან გეგეჭკორი, ნუკრი რევიშვილი, ბექა ქავთარაძე, ლაშა სალუქვაძე, ბექა მიქელთაძე (ყველა დინამო თბ), მათე კვირკვია (ტორპედო), კოკა სეფიაშვილი (კოლხეთი), ავთო ენდელაძე (მეშახტე), რევაზ ბარაბაძე (მერანი), ირაკლი კლიმიაშვილი (შუქურა), პაპუნა ფონიავა (ჩიხურა), ლუკა ზვიადაძე (ლიეპაია, ლიტვა), გიორგი პაპავა (დილა) თავისუფალი აგენტები: ალბერტ ცხოვრებოვი და მიხეილ გორელიშვილი.

**შეკრება**

კლუბმა შეკრება თურქეთში, ქალაქ სიდეში გაიარა. ახალშექმნილ გუნდს და ახალ მწვრთნელს დიდი ვერაფერი შედეგი უჩვენებია, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ამბობს.

რუსთავმა საწყისი 2 შეხვედრა ბულგარეთის რანგით მეორე ლიგის პირველადგილოსან ცარსკო სელოსთან და უნგრეთის რანგით მეორე ლიგის გუნდ შიოფოკთან ჩაატარა და ორივე 0:2 დათმო. შემდეგ ფრედ, 1:1 ითამაშეს უზბეკეთის უმაღლესი ლიგის ალმალიკთან, დასკვნითი 3 მატჩი კი მოიგეს – უკრაინის რანგით მეორე ლიგის ბინადარ კოლოსთან (3:2) შვეიცარიის რანგით მე-4 ლიგის გუნდ ნატერსთან (2:0) და ყირგიზეთის ჩემპიონ ალაისთან (3:0).

**პროგნოზი**

რუსთავს ამბიციური მიზნები აქვს. ამაზე მეტყველებს მწვრთნელ-ფეხბურთელების მოყვანა. თუმცა, მიზანი ერთია და შესრულება მეორე. ყველა შემთხვევაში ქვემოქართლური გუნდი მოწინავეთა შორის იტრიალებს და არ არის გამორიცხული, ჩემპიონობაზეც გაიწიოს.

**სტადიონი**

ერთია, რუსთაველები მშობლიურ ქალაქში ვერ ითამაშებენ, რადგან მათი სტადიონი არ აკმაყოფილებს ეროვნული ლიგის მოთხოვნებს. სანამ იქ სტადიონი გაკეთდება, მანამდე „მასპინძლები" თბილისში იქნებიან, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მათ „დავით პეტრიაშვილის არენა" გამოუყო.

## სიონი ბოლნისი

ბოლნისელებმა გასულ სეზონში ლიგა 2-ში მე-3 ადგილი დაიკავეს და ლიგა 1-ის მე-8 ადგილოსან ბათუმის დინამოსთან ორმატჩიანი დაპირისპირების შემდეგ ელიტის საგზური მოიპოვეს.

მიმდინარე სეზონში ბოლნისურ გუნდს გამოცდილი სპეციალისტი კობა ჟორჟიკაშვილი უძღვება და საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე ჯაბა დვალი კაპიტნობს, რომელმაც ეროვნულ ლიგა 2-ში 21 გოლი გაიტანა.

ბოლნისელებმა ძირითადი ბირთვი კი შეინარჩუნეს, მაგრამ გაძლიერების მიზნით ეროვნული ლიგის რამდენიმე ფეხბურთელიც დაიმატეს.

**ტრანსფერები**

**კლუბიდან წავიდნენ:** საბა ალდგომელაშვილი (სამტრედია), ზურაბ თევზაძე (ნორჩი დინამო), გიორგი ჭანკოტაძე (დინამო ბთ), ივანე ხაბელაშვილი (გაგრა). თავისუფალი აგენტები გახდნენ: ლაშა კალანდაძე, გოჩა კვარაცხელია, ზურაბ ჯაფიაშვილი, არჩილ მაქაცარია, ანდრო ნემსაძე, აკაკი ყურაშვილი, გიორგი პაპუაშვილი და დავით სვანიძე.

**კლუბში მოვიდნენ:** ლევან ხმალაძე (ლაკატამასია, კვიპროსი), გურამ მინდოდაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი (ორივე რუსთავი), ენვერ ლილუაშვილი (დინამო თბ), გიორგი დათუნაიშვილი (სამტრედია), ცოტნე სამუშია (ზუგდიდი), მიხეილ მუჯრიშვილი (დილა), ალექსანდრე გურეშიძე (კოლხეთი), გიორგი ბერიაშვილი (ტორპედო), ლაშა ლეჟავა (ცხინვალი)

**შეკრება**

ბოლნისური კლუბი მეორეა, რომელსაც უცხოეთში შეკრება არ გაუვლია და ახალი სეზონისთვის საქართველოში მოემზადა. ცხადია, საკონტროლო მატჩებიც ადგილობრივ კლუბებთან ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ შეკრებაზე ბოლნისელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

პირველი შეხვედრა დილასთან გამართეს და 2:4 დამარცხდნენ. კლუბი გორელებს 2 სხვადასხვა შემადგენლობით ეთამაშა. ბოლნისელები დამარცხდნენ თელავთანაც – 1:3, გაგრასთანაც – 0:1. შემდეგ იყო ფრე შევარდენთან – 0:0 და მარცხი ლოკომოტივთან – 0:2.

**დასკვნა**

სიონი ამ შემადგენლობით ლიგის აუტსაიდერი იქნება და ძალიან გაუჭირდება ეროვნული ლიგის კლუბებისთვის მეტოქეობის გაწევა. კლუბი აუცილებლად საჭიროებს გაძლიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უშანსოდ იქნებიან.

**სტადიონი**

სიონი ეროვნული ლიგის ორი წრე მიხეილ მესხის სათადარიგო სტადიონზე ითამაშებს, რადგან თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. კერძოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ბუნებრივსაფარიან მოედანს აგებს, ხოლო ბოლნისის გამგეობა კი ტრიბუნებს, ვიპ-ლოჟას, გასახდელებს აპირკეთებს.

## შედეგები

**27 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰალი-ბარნსლი ........................ 1:1
რედინგი-შეფილდი ........................ 1:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-რეალი ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 20 | 5 | 0 | 68-12 | 65 |
| 2.ატლეტიკო | 25 | 17 | 7 | 1 | 41-11 | 58 |
| 3.რეალი | 26 | 15 | 6 | 5 | 62-28 | 51 |
| 4.ვალენსია | 25 | 15 | 4 | 6 | 49-29 | 49 |
| 5.ვილიარეალი | 25 | 12 | 5 | 8 | 36-29 | 41 |
| 6.სევილია | 25 | 12 | 3 | 10 | 33-40 | 39 |
| 7.ბეტისი | 25 | 11 | 3 | 11 | 43-50 | 36 |
| 8.სელტა | 25 | 10 | 5 | 10 | 43-37 | 35 |
| 9.ეიბარი | 25 | 10 | 5 | 10 | 32-38 | 35 |
| 10.ხირონა | 25 | 9 | 7 | 9 | 35-36 | 34 |
| 11.ხეტაფე | 25 | 8 | 9 | 8 | 29-22 | 33 |
| 12.ბილბაო | 25 | 7 | 10 | 8 | 26-28 | 31 |
| 13.ლეგანესი | 25 | 8 | 6 | 11 | 21-28 | 30 |
| 14.ესპანიოლი | 26 | 7 | 10 | 9 | 23-32 | 31 |
| 15.სოსიედადი | 25 | 8 | 5 | 12 | 47-47 | 29 |
| 16.ალავესი | 25 | 9 | 1 | 15 | 22-37 | 28 |
| 17.ლევანტე | 25 | 3 | 11 | 11 | 21-40 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 25 | 5 | 4 | 16 | 18-52 | 19 |
| 19.დეპორტივო | 25 | 4 | 6 | 15 | 24-53 | 18 |
| 20.მალაგა | 25 | 3 | 4 | 18 | 16-40 | 13 |

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-ტერნანა ........................ 2:0
ვირტუსი-ჩიტადელა ........................ 0:1
კრემონეზე-ფროზინონე ........................ 2:2
ნოვარა-ფოჯა ........................ 0:1
პალერმო-ასკოლი ........................ 4:1
ემპოლი-აველინო ........................ 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-კილმანროკი ........................ 1:1
სტ.ჯონსონი-რეინჯერსი ........................ 1:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეჩნა-ტერმალიცა ........................ 2:2
პლოცკი-კრაკოვია ........................ 0:1
ლეგია-იაგელონია ........................ 0:2
სანდეცია-ზაგლებიე ........................ 0:1

**ძაგლებიე**

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ორჰუსი ........................ 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

*კალეიდოსკოპი*

# ჩინელებს გასვენებებში სტრიპტიზისგან თავის შეკავებას ურჩევენ



ჩინეთის ხელისუფლებამ სოფლის მცხოვრებლებს თხოვნით მიმართა, რომ გასვენებებში სტრიპტიზიორების დაქირავებისგან თავი შეიკავონ.

პროვინციებში ხენანი, ანიხოი, ცზიანსუ და ხებეი ცხელი ხაზი ამოქმედდა, რათა მოქალაქეებმა ამგვარ ღონისძიებებზე მოცეკვავე გოგონების მიწვევის ფაქტების შესახებ აცნობონ. ამის შემატყობინებელს ფულადი ჯილდო გადაეცემა.

სოფლის მცხოვრებნი სტრიპტიზიორებს ქირაობენ, რათა რაც შეიძლება მეტი სტუმარი ეწვიოთ. ისინი თვლიან, რომ სტუმრების რიცხოვნობა პირდაპირ გავლენას ახდენს გარდაცვლილის საიქიო კეთილდღეობაზე. ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ მსგავსი ღონისძიებები ჩინელების გახრწნას უწყობს ხელს. კერძოდ, ჩინოსნებს აშფოთებთ ის ფაქტი, რომ გოგონების გამოსვლას შესაძლოა ბავშვებიც უყურებდნენ.

გასვენებებში სტრიპტიზის აკრძალვის კანონი ჩინეთის ხელისუფლებამ 2015 წელს დააანონსა. მაშინ ასეთი წარმოდგენების ორგანიზატორს 15-დღიანი პატიმრობა და 70 ათასი იუანის (დაახლოებით 11,3 ათასი დოლარი) ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

ასეთი ტრადიციის გავრცელება 1990-იან წლებში დაიწყო. მოცეკვავე გოგონების გარდა, გასვენებებში ასევე ხშირად იწვევენ მომღერლებსაც.

## ამერიკელი თხას კოკაინითა და ვისკით გაუმასპინძლდა



ამერიკის ჯორჯიის შტატში დააკავეს რანჩოს თანამშრომელი, რომელმაც თხას კოკაინი შეაჭამა და ვისკი დაალევინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

28 წლის სერჯიო პალომარეს-გუზმანმა ინტერნეტში გამოაქვეყნა ვიდეო. კადრში ჩანს, რომ მას რქებით უჭირავს თხა, ხოლო უცნობი მამაკაცი მას ნარკოტიკს ტენის. შემდეგ პალომარეს-გუზმანი ცხოველს პირს უხსნის, ხოლო უცნობი პირში ალკოჰოლურ სასმელს ასხავს.

ამ ვიდეოს თაობაზე ინფორმაცია გუინეტის ოლქის შერიფის ოფისში შევიდა. ამის შემდეგ პალომარეს-გუზმანს ცხოველის მიმართ სასტიკ მოპყრობაში დასდეს ბრალი და დააპატიმრეს. მას ქვეყნიდან გაძევება ემუქრება, მიმდინარეობს იმ ორი მამაკაცის ვინაობის დადგენა, რომლებიც ცხოველის მიმართ სასტიკ მოპყრობაში მონაწილეობდნენ.

თავად ცხოველი გუინეტის ოლქის ცხოველთა თავშესაფარში გადაიყვანეს. ვეტერინარებმა საგულდაგულო შემოწმების შემდეგ თხა სრულიად ჯანმრთელად ცნეს. ამჟამად ის იმ ორგანიზაციის ფერმაში იმყოფება, რომელიც ცხოველთა გადარჩენითაა დაკავებული.

## პლასტიკური ქირურგიის მოყვარული საკუთარი დუნდულებით უკმაყოფილოა



ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემის მცხოვრებმა სტარ დელგაიდისმა, რომელმაც 230 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებზე, გადაწყვიტა, დუნდულების ახალი იმპლანტანტებისგან განთავისუფლდეს.

გასული წლის დეკემბერში 28 წლის ბრიტანელმა გოგონამ დუნდულების ზომის გაზრდის ოპერაცია გაიკეთა. მას 650 კუბური სანტიმეტრის მოცულობის იმპლატანტი ჩაუდგეს, სპეციალისტების მიერ რეკომენდირებულზე ორჯერ მეტი. გარდა ამისა, მან მანამდე წონაში 25 კილოგრამი მოიმატა, რათა ექიმებს მისი სხეულის სხვა ნაწილებიდან ქონი მის დუნდულებში გადაექაჩათ.

ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ, რომელიც 15 ათასი ფუნტი დაჯდა, დელგაიდისი მიხვდა, რომ მეტისმეტად დიდი იმპლატანტები შეარჩია. მისი თქმით, ის ვერ ეგუება იმ უცნაურ შეგრძნებებს, რომლებიც დაჯდომის დროს წარმოიშობა.

– ვგრძნობ, თუ როგორ მოძრაობენ და მართალია, მათი ფორმა მომწონს, მაინც გადავწყვიტე მოვიშორო, – განაცხადა გოგონამ.

ათი წლის მანძილზე დელგაიდისმა ათობით კოსმეტიკური ოპერაცია და პროცედურა გადაიტანა, ხოლო მას შემდეგ, რაც დუნდულებიდან იმპლატანტებს მოიშორებს, გადაწყვეტილი აქვს, რომ სილიკონზე უარი თქვას და პლასტიკური ოპერაციები აღარ გაიკეთოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

*საზოგადოება*

# თურქეთში ქართული ეკლესია ბოსლად არის გადაკეთებული



თურქეთში ფექრაშენის ქართული ეკლესია, რომელიც ჩრდილის ტბასთან მდებარეობს, ბოსლად არის გადაკეთებული.

ბექა ვარდოსანიძე სოციალურ ქსელში სამ ფოტოს ავრცელებს – ფექრაშენის ქართული ეკლესიის, ოშკის ტაძრის და ბათუმში მდებარე მეჩეთის:

– პირველ სურათზე ბოსლად გადაკეთებული ფექრაშენის ქართული ეკლესიაა ჩრდილის ტბასთან თურქეთის მიერ ოკუპირებულ ტაო-კლარჯეთში. მეორე სურათზე კი ოშკის ტაძარი და მასზედ მიდგმული მინარეთი ზედ მიმაგრებული მოლას საყვირით, ხოლო მესამეზე საქართველოს ტერიტორიაზე ბათუმში არსებული მუსულმანური მეჩეთი...

და კიდევ ბევრის აშენებას აპირებენ მოღალატეების დახმარებით, ხოლო ქართულ ეკლესიებს ოკუპირებულ... ტერიტორიებზე ანადგურებენ... ან ბოსლად გადააკეთებენ... ან „ტუალეტად“...

ხოლო საქართველოში ეკლესიების გვერდით კლუბები აქვთ გახსნილი და წაბილწული აქვთ ის წმინდა ადგილი ლესელიძეზე...

ნუთუ არ არის ეს საკმარისი, რომ გონს მოვეგოთ! და დავდგეთ ერთად და გადავარჩინოთ ქვეყანა.

## რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი განათლების მინისტრს შეხვდა



სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლები და მისი პრეზიდენტი, მწერალი და პოეტი დავით შემოქმედელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიხეილ ჩხენკელს შეხვდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, რუსთაველის საზოგადოების ენობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული და რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ფილოლოგი მარინა ნონიკაშვილი.

მინისტრთან შეხვედრის დროს, საზოგადოების წევრებმა მას გააცნეს კონკრეტული წინადადებები რუსთაველის საზოგადოების მიერ მომზადებული საგანმანათლებლო სისტემის ალტერნატიული ეროვნული კონცეფციიდან. მინისტრის მიერ გაზიარებულ იქნა თითქმის ყველა წინადადება და რუსთაველის საზოგადოების წევრებს განუცხადა, რომ ეს რეკომენდაციები პრაქტიკაში რეალურად ამოქმედდება, ამასთან ისიც, რომ მსგავსი საკონსულტაციო შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

*სპორტი*

# ტედი რინერმა შესაძლოა თბილისის გრან პრიზე იასპარეზოს



30 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით, საქართველოს დედაქალაქი ძიუდოს ტრადიციულ ტურნირს, თბილისის გრან პრის უმასპინძლებს.

ტურნირამდე ერთი თვით ადრე მონაწილეობის მსურველი რამდენიმე სპორტსმენი დარეგისტრირდა, მათ შორის არის საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ლიდერი და ლეგენდარული ძიუდოისტი, 8-გზის მსოფლიოს, 5-გზის ევროპისა და 2-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ტედი რინერი.

2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალურ შეხვედრაში გურამ თუშიშვილთან დაპირისპირების შემდეგ რინერმა აღნიშნა, რომ მისთვის ქართველი ძიუდოისტი ყველაზე რთული მეტოქე გამოდგა და მწვრთნელს სთხოვს, რომ საქართველოში ჩამოვიდეს.

შეგახსენებთ, რომ თბილისის გრან პრის მონაწილეთა ვინაობა შესაძლოა ტურნირის კენჭისყრამდე შეიცვალოს.

თბილისის გრან პრიზე ჯერჯერობით არ არის დარეგისტრირებული არც ერთი ქართველი ძიუდოისტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები მასპინძლის სტატუსით ისარგებლებს და თითოეულ წონაში მაქსიმალური, 4-4 ძიუდოისტის გამოყვანის საშუალება ექნება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 1 მარტი



**ვერძი** – მიზნის მისაღწევად სიმტკიცე უნდა გამოიჩინოთ. ზოგიერთი საქმის მოგვარება სხვა დროისათვის გადადეთ. **კურო** – გარშემომყოფებს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. ეცადეთ, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოთ. **ტყუპები** – ემოციები მოთოკეთ. კონფლიქტში ნუ ჩაერთვებით და საკუთარი პრინციპების დასაცავად ყველა ხერხს ნუ გამოიყენებთ. **კირჩხიბი** – თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოსავლენად მშვენიერი შანსი გეძლევათ. შემოქმედებითი პოტენციალი მძლავრობს. **ლომი** – წინდაუხედავ საქციელს შესაძლოა ფინანსური ზარალი მოჰყვეს. ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით. **ქალწული** – დღეს საყოფაცხოვრებო პრობლემებს შეეჭიდებით. საქმე დინჯად და დაკვირვებით აკეთეთ. **სასწორი** – წარმატებული დღეა. ოჯახის წევრებისგან ყურადღებასა და მზრუნველობას გრძნობთ. **ღრიანკალი** – კარგი იქნება, თუ ყოველდღიურ ალიაქოთს გაერიდებით და თავს გართობისა და მოდუნების უფლებას მისცემთ. ქალაქგარეთ გასვლა გაგახალისებთ. **მშვილდოსანი** – სამოქმედო არეალი ფართოვდება. პერსპექტიული და იღბლიანი პერიოდია. **თხის რქა** – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ნუ იჯიუტებთ. **მერწყული** – თავს ბედნიერად გრძნობთ. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ გეპარებათ. **თევზები** – აქტიური და ენერგიული დღეა. მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მაღალხარისხოვანი ბროლი; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრი წყაროს რაიონში; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა; 8. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. აეროპორტი კიევში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 9. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. მონასტერი დუშეთის რაიონში; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 15. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ნავების, იახტების სადგომი ნავსადგურში; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბაჩანა; 2. ევრო; 3. დემაგოგია; 4. ბზიფი; 5. ფაბრიკა; 8. ვეზუვი; 9. ბალისტიკა; 12. ჟუდეცი; 14. აილამა; 16. ოლიფა.

**თარაზულად**: 1. ბაბანეური; 6. გეოდეზია; 7. ჩხავერი; 9. ბორანი; 10. ფიცი; 11. გურიელი; 13. პრაღა; 15. სულიკო; 17. კაპრალი; 18. ფეტელი; 19. პრემია; 20. კასაცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პაციფისტი; 2. ლიგნიტი; 3. ლიკანი; 4. ბაფტა; 5. სტურუა; 11. იტალია; 12. ვიტესი; 14. ტუფი; 16. სორბონა; 17. მაესტრო; 19. ბერლინი; 21. ურალი; 22. დუომო.

**თარაზულად**: 6. მარტვილი; 7. კრამიტი; 8. ტევრი; 9. ოფორტი; 10. ნოკია; 13. შტატი; 15. ესკალატორი; 18. საქსები; 20. აუდი; 21. უტზონი; 23. კალიფორნია; 24. რიგელი.

# სამგლოვიარო განცხადებები



## გენო ღლონტის ხსოვნას

თავისებური ბედი გერგო, ჩემო საყვარელო ძმაო – გენო: 2005 წლის 1 მარტს – შენი დაბადების 77-ე წლისთავის აღსანიშნავ პურ-მარილზე ბიძაშვილის მოსაწვევად მიმავალს ბათუმის ზღვისპირა ბულვარში გიღალატა გულმა. მე დაბადების დღის მოსალოცად დაგირეკე თბილისიდან, პასუხის ნაცვლად კი ეს შემზარავი ამბავი მაცნეს. 2018 წლის 1 მარტს 90 წლის გახდებოდი და ამ დღის მოლოცვის ნაცვლად შენი გარდაცვალების 13 წლისთავს ვხვდებით უაღრესად დამწუხრებულნი.

13 წელია შეწყდა შენი სანაქებო ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ჩვენი უტკბილესი დედმამიშვილობა. 13 წელია გგლოვობთ და გვენატრები...

შენი ნაფერები ქალიშვილი ნინო და შვილიშვილები თამუნა და თათია დასევდიანებულნი მოგაგებენ დამსახურებულ სიყვარულსა და ხსოვნას. შენ ერთი შვილთაშვილის – ნიკუშას მხილველი იყავი, ახლა კი ოთხნი არიან: ნიკუშა და ანა მესხიძეები, გიორგი და ანდრია ორბელაძეები.

ძალიან, ძალიან გვენატრები. სიტყვებით შეუძლებელია უშენობით გამოწვეული გულის ტკივილის გადმოცემა.

ახლა ისღა გვეიმედება, რომ ნათელში მშვიდად განისვენებს შენი კეთილი სული.

**შენი და კლარა ჩხეიძე-ღლონტი ოჯახით**



## ჯანო ჩხეიძის ხსოვნას

ჩვენო ჯანო, ათი წელია თვალცრემლიანი შევყურებთ შენს სურათს – მეუღლე, ქალ-ვაჟი, შვილიშვილები და შვილთაშვილები. დრო მკურნალიაო ამბობენ, მაგრამ ვერაფერი განკურნავს უშენობით გამოწვეულ გულისტკივილს, რომელიც ჩვენი სიცოცხლის ბოლო წუთამდე თან გაგვყვება...

გჯეროდეს, ჩვენო ჯანო, რომ შენ დავიწყება არ გიწერია. რა დაგვავიწყებს შენს მზრუნველ, საქმიან, წესრიგიან პიროვნებას. ყოველი დღე შენი სევდიანი ხსოვნით თენდება და ღამდება.

გვენატრები, გვახსოვხარ და ვცდილობთ ღირსეული სიყვარული და პატივისცემა მოგაგოთ, ისე შევინახოთ შენი ოჯახი, როგორც შენ გსურდა.

იმედი გვაქვს, შენი სიცოცხლეში მოუსვენარი, მუდამ საქმით დაკავებული, ოჯახზე გადაგებული სული მშვიდად განისვენებს ნათელში.

**მეუღლე კლარა ღლონტი, შვილები თინათინ და ზურაბ ჩხეიძეები ოჯახებით**



და ვენერა, შვილები ნატო, ნანა, რძალი ხათუნა მაჭარაძე, სიძეები ზურაბ თავართქილაძე, ბაჩო ხაბურზანია, შვილიშვილები თამარ, ნინო თავართქილაძეები, ეკატერინე, მარიამ და გიორგი ბოკუჩავები, ანანო და ლუკა ესიავები, დისშვილები და ძმისშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## თარაშ ვლადიმერის ძე ესიავა

პანაშვიდი: 1, 2 მარტს.

დაკრძალვა: 3 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირი 16/56.

დავით დოლონაძე, იური კორაშვილი და ჯუმბერ შარიქაძე ღრმა მწუხარებას გამოხატავენ სიყრმის მეგობრის

## თარაშ ესიავას

გარდაცვალების გამო.

გულითადად თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რამაზ ჩხიკვაძე 90 წლის გახდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე 90 წლის გახდებოდა. ეს მრგვალი და საიუბილეო თარიღი ქართულ საზოგადოებას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა რობერტ სტურუამ შეახსენა.

რამაზ ჩხიკვაძემ რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუასთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა. მის მიერ შესრულებული როლებით აღტაცებაში მოდიოდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. როგორც თავად ამბობდა, არ უყვარდა, როცა აქებდნენ და საშინლად ბრაზდებოდა, როცა გენიალურს ან შეუდარებელს უწოდებდნენ.

არაერთი როლის განსახიერების მიუხედავად, რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედების სავიზიტო ბარათი მაინც აზდაკია სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე". ეს წარმოდგენა რუსთაველის თეატრმა 300-ზე მეტჯერ ითამაშა და სულ ანშლაგებით.

როგორც მსახიობი აღნიშნავდა, მას ბედნიერ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა:

– იმიტომ კი არა, რომ რამაზ ჩხიკვაძე ვარ, ბედია ყველაფერი... პირველი გასვლა რომ მოხდა საქართველოდან, მაინცდამაინც რობიკოს სპექტაკლები წავიდა. ამიტომ პირველი რეცენზიები, პირველი შეძახილები, პირველი გაოცება, რომ თურმე რაღაც საქართველო ყოფილა და იქ ასეთი რანგის თეატრი ყოფილაო, ჩვენ გვხვდა წილად და არა იმიტომ, რომ მაინცდამაინც მე უნდა წავსულიყავი და ჩემზე უნდა დაწერილიყო, რომ რიჩარდი ითამაშაო. ესეც იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ვიყავით ყველაზე ძლიერები და ყველაზე კარგი არტისტები... ჩვენ წინ რომ წასულიყო ხორავა, ვასაძე, ვერიკო, რა, ნაკლებ ამინდს შექმნიდნენ და ნაკლები დაიწერებოდა მათზე?! ხორავას ოტელო და დიდი ხელმწიფე რომ ენახათ, გნებავთ სერგო ზაქარიაძის როლები, გოძიაშვილის როლები, რა თქმა უნდა, უდიდესი და უბრწყინვალესი გამარჯვებები ექნებოდათ, მაგრამ ჩვენ გვხვდა ბედად ეს ამბავი და ამიტომაც ვამბობ, რომ ბედნიერი კაცი ვარ, ვაფასებ და მადლობ ღმერთო, რომ ასეთ გარემოცვასა და პერიოდში მომიწია ცხოვრება.

რამაზ ჩხიკვაძე მაყურებელს ძალიან უყვარდა. ამის დასტურად რუსთაველის თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. მსახიობი 83 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. რამაზ ჩხიკვაძის სახელის უკვდავსაყოფად ქუჩას, სადაც მსახიობი ცხოვრობდა, მისი სახელი ეწოდა, მისი სახლის კედელზე მემორიალური დაფა გაიხსნა, 9 აპრილის ბაღში კი ზურაბ წერეთლის მიერ დამზადებული აზდაკის ქანდაკება დაიდგა.

# რატი წითელაძის ფილმი 4000-მდე ფილმიდან საუკეთესოდ დასახელდა



რეჟისორ რატი წითელაძის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სოციუმის პატიმარი" 4000-მდე ფილმიდან საუკეთესოთა შორის მოხვდა.

ფილმის პრემიერა, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ოსკარის, ბაფტას და ევროპული აკადემიის საკვალიფიკაციო კინოფესტივალის მთავარ საერთაშორისო კონკურსში შედგება.

ფესტივალს 30.000-ზე მეტი მნახველი ჰყავს და მისი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული, შერჩეული იქნება ევროპული აკადემიისა და ოსკარის ნომინაციაზე.

ფილმი ადელინა პოლინას მონაწილეობით მოგვითხრობს ერთი პატარა ოჯახის ამბავს, რომლის ერთობაც დიდი გამოწვევის წინაშე დგას... ეს არის ფილმი თავისუფლების წყურვილზე, აუხდენელ ოცნებებსა და მომავალზე, რომელიც გაურკვეველია.

„სოციუმის პატიმარის" რეჟისორი და პროდიუსერი რატი წითელაძეა, პროდიუსერი ნინო ვარსიმაშვილი.




# მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებმა იაპონიაში ანშლაგებით ჩაიარა

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს იაპონიის საერთაშორისო საბავშვო სპექტაკლების ფესტივალზე უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

ქართული დრამატული თეატრი იაპონიას ბოლოს გასული საუკუნის 90-იან წლებში სტუმრობდა. 27-წლიანი პაუზის შემდეგ, მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასი იაპონიის რამდენიმე ქალაქში მიიწვიეს. საბედნიეროდ, ქართულმა წარმოდგენამ დიდი აღიარება მოიპოვა.

იაპონიაში ნაგოიასა და ტოკიოში საერთაშორისო საბავშვო ფესტივალი ჩატარდა, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ასოციაციის „ასიტეჟი აზიის" ეგიდით გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობდა აზიის 15 ქვეყანა, მათ შორის იაპონია, კორეა, ჩინეთი, ინდოეთი, ნეპალი, ტაილანდი, შრი-ლანკა, ბანგლადეში, ისრაელი, უზბეკეთი და სხვა. მოზარდ მაყურებელთა თეატრი ერთადერთი თეატრია, რომელიც იაპონიამ ამჯერად საპატიო სტუმრის სტატუსით მიიწვია.

დიმიტრი ხვთისიაშვილისა და გია მარღანიას სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა" ქალაქ ნაგოიასა და ტოკიოში ორ-ორჯერ წარმოადგინეს. საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილე ქვეყნების წარმოდგენებს ტოკიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური ცენტრი მასპინძლობდა.

ქართულმა სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ სპეციალური ჩვენება დამატებით ტოკიოს ორ დიდ საბავშვო ცენტრშიც გაიმართა.

# მერაბ სეფაშვილი ებრაელი ერისგან საპატიო სიგელით დაჯილდოვდა



მომღერალი მერაბ სეფაშვილი ებრაელი ერისგან საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ხელოვანი, რომელიც მთელი ცხოვრება ქართულ ესტრადას ემსახურება და ათასობით ერთგული მსმენელიც ჰყავს, კიდევ ერთი ჯილდოს მფლობელი გახდა.

საპატიო სიგელი მერაბ სეფაშვილს ისრაელსა და საქართველოს შორის კულტურის სფეროში ურთიერთობის გაღრმავებასა და ორი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა.

# „თურქულმა, ინდურმა სერიალებმა წაგვლეკეს და ერთადერთი ქართული ისტორიული პროექტისთვის ქართულ ტელე-სივრცეში ადგილი არ არისო"



ისტორიული პროექტი „გააგრძელე საქართველოს ისტორია" საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დახურა და ახლა მისი ავტორი, მწერალი გურამ ქართველიშვილი მაყურებლის შემოწირულობებით ბახტრიონი 1659 წლის აჯანყებას იღებს.

სოფიკო სოხაძე ქართულ ტელევიზიებს აკრიტიკებს და ქართული პროექტისთვის ხელშეწყობას მოითხოვს:

– თურქულმა, ინდურმა, რუსულმა სერიალებმა წაგვლეკეს და ერთადერთი ქართული ისტორიული პროექტისთვის ქართულ ტელე-სივრცეში ადგილი არ არისო! ქართველებს არაფერში სჭირდებათ საკუთარი წარსულის ცოდნაო! ჩემი აზრით, ეს იმ ბიზნესჯგუფის ინტერესებშია, რომლებიც უცხო ქვეყნის და, განსაკუთრებით, თურქული ფინანსური ინექციებით კვებავს ტელევიზიებს... თურქეთი კი იდეოლოგიურ ომს გვიგებს და ახორციელებს მასკულტურულ ექსპანსიას. აბა, კულტურა მონღოლური ბაიათების გარდა, მათ არ გააჩნიათ... ყველაფერი მოპარული აქვთ მეზობლებისგან... ჩვენთვის კი ეკონომიური ინტერესი უზენაესია, ის ასიათასჯერ მაღლა დგას, ვიდრე ეროვნული ინტერესი!

# თეონა ქუმსიაშვილს თურქმა მომღერალმა სიმღერა მიუძღვნა

მომღერალ თეონა ქუმსიაშვილს, რომელიც 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა, თურქმა მომღერალმა ნურგუზელ კესტანემ სიმღერა მიუძღვნა. მან კომპოზიტორისა და მომღერლის დავით არჩვაძის სიმღერა „ღმერთი დიდია" ჩაწერა. სიმღერის ტექსტი პოეტ ნანა ცინცაძეს ეკუთვნის. თურქმა მომღერალმა ქართული სპეციალურად ისწავლა და სიმღერაზე კლიპიც გადაიღო.

ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას ათასობით ნახვა და მოწონება აქვს.

**დავით არჩვაძე:**

– თურქმა მომღერალმა ნურგუზელ კესტანემ ჩაწერა ჩემი სიმღერა „ღმერთი დიდია" თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის პატივსაცემად. მან ჩვენი ქვეყნის და ქართული სიმღერის სიყვარულით ქართული ენაც კი ისწავლა და არის უსაყვარლესი ადამიანი!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

## ხუთშაბათი 1 მარტი

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.30** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.00** მინი-სერ. "**დომბე და ვაჟი**" **14.00** დოკ/ფ "რემბრანდტი" **15.30, 05.35** ტ/სერ. "**ექვსი და**" **16.30, 06.30** ტ/სერ. "**ღვინის გზა**" **18.30** დოკ/სერ. "ორი კაბა და ერთი არჩევანი" **20.00** ტელე-თამაში. "ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი?!" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **23.30** "ხანმოკლე მეოცე საუკუნე" **23.45** მხ/ფ "**პატრიოტი**" (მ.გიბსონი) **03.30** მხ/ფ "**დედამიწის შემდეგ**" (უ.მიტი)

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.00** მხ/ფ "**ვაისი**" **01.30** მხ/ფ "**ლონდონური არდადაგები**" **03.35** მხ/ფ "**კანიონები**" **05.10** მხ/ფ "**საშობაო კვიცი**"

**06.00, 18.50, 20.04** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.30** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** გააცინე და მოიგე **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ნინო ჟიჟილაშვილის დღის ამბები **15.00, 22.45,** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS **08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**კარგი ცოლი**" **10-11-12** სერ. **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" **5** სერ. **13.00** სერ. "**შილდის აგენტები 2**" **11-12-13-14** სერ. **17.00** სერ. "**ფარი 3**" **11-12** სერ. **19.00** სერ. "**ჯაშუში 5**" **10-11** სერ. **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" **6** სერ. **22.30** სერ. "**სპარტაკი 2**" **4-5** სერ. **00.30** მხ/ფ "**ჯეკი გოლიათების გამანადგურებელი**" **02.15** მხ/ფ "**უკანასკნელი სამურაი**" **04.35** მხ/ფ "**ვამპირი**" **06.30** მხ/ფ "**სახიფათო კავშირები**"

იბერია **08.00** ანიმაცია **08.30** დოკ/ფ **09.30** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე" **10.40, 12.40, 18.05, 19.50** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.00** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30, 01.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 04.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 02.20** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. "**გაქცეულები**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 3.20** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე" **21.00** მხ/ფ **23.00** სახალხო კონტროლი

**08.00, 00.00, 01.30** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.30** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. "**დიასახლისი**" **11.00** "დილის ტალღა" (სიუჟეტები) **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.20** "ბუნების კანონი" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **14.30** "ერთი დღე სოფელში" **15.30** "სცენა" **16.00** მხ/ფ "**დიდი ქალაქის ჩირაღდნები**" **18.30** "უცხო სუნელი" **20.30** ანონსი **20.45** "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.40** "ეთნოფორი" **22.00** "ახალი სივრცე" **23.30, 00.05** მხ/ფ "**მოლიერი**"

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 19.25** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **10.30** ქართული ალბომი **10.55** მოკ./ფ "**ჭა**" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**გზა შინისაკენ**" **13.20** კონცერტი - თელავის ფესტივალი - კამერული მუსიკის კონცერტი **15.05** მხ/ფ "**სხვისი შვილები**" **16.20** კონცერტი - გიზი ამირეჯიბის საიუბილეო საღამო **18.05** დ/ფ **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" **01.55** კონცერტი -სამი ტენორი **03.45** მხ/ფ "**ვატერლოო**"

მაესტრო **10.00-23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4795 |
| ევრო | 3.0555 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4621 |
| 100 რუსული რუბლი | 4.4378 |

## ამინდის პროგნოზი

1 მარტისთვის








## 22 თებერვლიდან

ეჟენ იონესკო

# განდგომილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

# ყველაზე შორეული ზურგი




წიგნი მოგვითხრობს 1943 წლის ზაფხულის მღელვარე პერიოდზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნაკლებად ცნობილი „ლენდ ლიზი“-ის პროექტის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო მასალებითა და სურსათით მოამარაგა. რომანში მოქმედება სსრკ-ში, ჩინეთში, ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვითარდება.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## 27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

# მონანიება

ქართული დეტექტივი
ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




## იუმორი

ბიჭმა ყოფილი შეყვარებულისგან სმს-ი მიიღო:

– შეგიძლია ჩემი ნომერი წაშალო.

– რომელი ხარ? – მისწერა საპასუხოდ ბიჭმა.

●●●

მატარებლის კუპეში შესულ ძუკუს სამი ზანგი დახვდა. მან გაკვირვებულმა შეათვალიერა სამივე და კითხულობს:

– დედა, ხანძარი იყო?

***

მოსწავლე მასწავლებელს ეკითხება:

– მასწავლებელო, ვირები რა ასაკში კვდებიან?

– რატომ მეკითხები? რა, თავს ცუდად გრძნობ?

***

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– წარმოგიდგენია, გუშინ ეკლესიაში ვდგავარ, წირვაა, ამ დროს ჩემ გვერდით მდგომმა გოგონამ ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

– მერე?

– კინაღამ ხელიდან ლუდის ბოთლი გამივარდა...

●●●

რჩევა მამაკაცებს:

– თუ ქალი განერვიულებულია – მოეხვიეთ და უთხარით, რომ ის უმშვენიერესია, ხოლო თუ შემოგიღრენთ – უსაფრთხო მანძილზე მოშორდით და თქვენი საფულე ესროლეთ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– არა, ძმაო, ვისაც მეგრელი ცოლი ჰყავს, იმას იმქვეყნად სამოთხეში ადგილი გარანტირებული აქვს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იმან ამქვეყნად უკვე ნახა ჯოჯოხეთი...

●●●

დეპუტატობის კანდიდატს ეკითხებიან:

– რატომ გადაწყვიტეთ დეპუტატობაზე კენჭი გეყარათ?

– თავად იცით, რაც ხდება! ხელისუფლება კორუფციაში, ფუფუნებასა და ალვირახსნილობაშია ჩაფლული.

– თქვენ აპირებთ, ამ ყოველივეს ებრძოლოთ?

– არა, მინდა ამ ყოველივეში მეც ჩავერთო!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

# დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი







## 1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

# სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ბუფონი იტალიის ნაკრებში დაბრუნებას აპირებს



იუვენტუსის გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონმა განაცხადა, რომ ის იტალიის ნაკრებში დაბრუნდება, თუ მას გამოიძახებენ.

ბუფონის თქმით, ის მარტში დასვენებას აპირებდა, მაგრამ ნაკრების გამო მზად არის, გადაწყვეტილება შეცვალოს.

– მარტის ბოლოს ნაკრებების მატჩებია და იმ პერიოდში ოჯახთან ერთად არდადეგები მქონდა დაგეგმილი, მაგრამ თუ ნაკრებს დავჭირდები, აუცილებლად ვითამაშებ, – განაცხადა ჯან ლუიჯი ბუფონმა.



## ტიბო კურტუამ კონტე გააკრიტიკა

ჩელსის მეკარე ტიბო კურტუამ ანტონიო კონტე გააკრიტიკა.

კურტუას აზრით, კონტეს ედენ აზარი არ უნდა შეეცვალა მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ.

– გადაწყვეტილებას მწვრთნელი იღებს და მან უნდა ახსნას, თუ რატომ შეცვალა ედენ აზარი. ჩემი აზრით, ეს არ უნდა მომხდარიყო, რადგან აზარი ისეთი ფეხბურთელია, რომელიც 90 წუთი უნდა თამაშობდეს, – განაცხადა ტიბო კურტუამ.

ინგლისურ პრესაში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ კონტეს ფეხბურთელებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს და, როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოს არის.

## ბაიერნს მარკო ასენსიოს შეძენა სურს



მიუნხენის ბაიერნი მადრიდის რეალის ახალგაზრდა ფეხბურთელით მარკო ასენსიოთი დაინტერესდა. ასენსიოს შეძენა ბევრ ევროპულ გრანდს სურს, თუმცა რეალი ჯერჯერობით მის გაყიდვას არ აპირებს.

ასენსიო არ არის წინააღმდეგი რომ კარიერა ბაიერნში გააგრძელოს, რადგან რეალის ძირითად შემადგენლობაში ის ხშირად ვერ ხვდება.

თვითონ ფეხბურთელს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ნეიმარი თვეზე მეტს გამოტოვებს



პსჟ-ს ფორვარდი ნეიმარი სავარაუდოდ თვენახევარს გამოტოვებს და მას შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს.

ამის შესახებ განცხადება ნეიმარის მამამ გააკეთა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ნეიმარის რეალის წინააღმდეგ თამაში გამოირიცხა. ნეიმარის არყოფნა პსჟ-სთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან წლევანდელ სეზონში ბრაზილიელი ფორვარდი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი და ბომბარდირია.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ პსჟ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლას მოახერხებს, ნეიმარი ვერც ამ მატჩებში დაეხმარება თავის გუნდს.

## ატლეტიკო გრიზმანს არ გაყიდის



მადრიდის ატლეტიკო ანტუან გრიზმანის გაყიდვას არ აპირებს, რადგან, სიმეონეს აზრით, გრიზმანი მისი გუნდის მთავარი ლიდერია და მის გარეშე ატლეტიკო საგრძნობლად დასუსტდება.

გრიზმანის ყიდვა ბარსელონას სურს და კატალონიური გუნდი მზად არის, მის ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს. მიუხედავად ასეთი თანხისა, ატლეტიკო მაინც არ აპირებს გრიზმანის გაშვებას, მაგრამ თუ ფეხბურთელმა თვითონ მოინდომა წასვლა, მაშინ შესაძლოა ატლეტიკომ ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია შეცვალოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელი; 2. ტვირთის ასაწევი კიდული მოწყობილობა; 3. ძველი, იშვიათი წიგნებით მოვაჭრე; 4. ფინელი იუმორისტი მწერალი; 5. საქართველოს ეროვნული გმირი; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ტროპიკებში ბინადარი მოკლეხორთუმიანი გარეული ცხოველი; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველოში; 6. შტატი აშშ-ში; 7. ნახშირის სახატავი ფანქარი; 9. უბანი ძველ თბილისში; 10. იტალიური ორცხობილა; 11. მარნეულის ძველი სახელწოდება; 13. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად; 15. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 17. უნაყოფო, მწირი ნიადაგი; 18. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 20. ამერიკელი მეცნიერი, რომელსაც ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია ქიმიის დარგში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

